

2016 წელი – უამრავი დიდი მკითხაობისა



და უამრავი დიდი გაგაიფუნებისა!..

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბეჭდით ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჭებრით ბუძთის გაფანა ყუულა უჯადრისმბაჩე უსამაგლესია.



დაარსებულია
1918 წელს.

სამუშაოთი, **29** დეკემბერი, 2015 წელი.
№245 (7890)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამავ ვერ ნახავ!


ღლის ამოკაზურიდან



– მე რომ მრავალცოდვილი ღვევან მურუსიპის ადგილას ვიყო, თავს ატრენიგად არ გაემამიუნებდი და მაიმუნის წელიწადს კაცურად გადამდგარი შევხვდებოდი!..

– ეგ, ცოტა არ იყო, პნელი საქმეა, გენაცვალე, ზოგ-ზოგი ზნეობა შერყეულისთვის, მით უმეტეს, როცა მაიმუნი ჩვენს წარსულია, ხოლო მაიმუნის წელიწადი – მომავალი!

რანი არიან „ხალხის რეპული“ და როგორ იბრძვიან ისინი თავიანთი კეთილდღეობისთვის



მაინს რისტონს სჯიან რუსეთს?!



პროექტების ომი

ალალ იყო! ნონა გაფრინდაშვილი ბრწყინვალეების ორდენოსანია!

სამართმელოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ერისა და ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს წარმომჩენისათვის სუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ბრწყინვალეების ორდენით დააჯილდოვა.

„თქვენი მაღლიერია სახელმწიფო და ერი იმისათვის, რაც გააკეთეთ საქართველოს პოპულარიზაციისათვის და იმისათვის, რაც გაუკეთეთ საზოგადოებას თქვენი მორალური პოზიციით“, – მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილს სახელმწიფო ჯილდოს გადაცემისას.



დაზარალებულ იპოთეკარებს ტყუილად უხარიათ, რომ სახლებს ვერ გაუყიდიათ!..

სოფლად „ჯაყოს სიზნების“ მსგავსი ვითარება გვაქვს!

6 თვე – 60 ლარი

გამოიწერა 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „კლანეგა-ფორგე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მარტოვიძის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

საარჩევნო სპეცუბენები მხოლოდ ცინემაში უნარჩუნდება



იუსტიციის მინისტრის კანდიდატის თვა წულუკიანის ინფორმაციით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სპეცუბენები მხოლოდ ცინემაში იქნება შენარჩუნებული

მინისტრობის კანდიდატის ცნობით, სპეცუბენების საკითხთან დაკავშირებით უკვე შექმნილია საკანონმდებლო პაკეტი, რომელსაც მთავრობა პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე წარუდგენს.

„კანონპროექტის თანახმად, ძალიან მინიმალურ შემთხვევებში, სპეცუბენები მაგალითად, მხოლოდ ცინემაში შენარჩუნდება. თავდაცვის სამინისტროსგან და სხვა ძალიან უწყებებისგან მზაობა არის, რომ თუკი ეს უკიდურესად აუცილებელი არ არის, მომავალ არჩევნებზე სპეცუბენები არ არსებობდეს. ეს პაკეტი თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩვენი მონაწილეობით მთავრობაზე იქნება წარდგენილი. რაც კითხვებს ბადებდა, კანონის დონეზე უნდა გამოირიცხოს“, – დასძინა წულუკიანმა.

წულუკიანის განცხადებით, ასევე გაზაფხულზე საქართველოს ისეთ მუნიციპალიტეტებში განხორციელდება ნოტარიუსები, სადაც დამოუკიდებლობის შემდეგ ნოტარიუსი არ ყოფილა და ხალხს ავტობუსით მოგზაურობა საათობით უწევდა.

მინისტრობის კანდიდატი ამბობს, რომ ნოტარიუსის კანონის რეფორმის მეორე ტალღა გაზაფხულზე დაიწყება.

ამასთანავე, წულუკიანის თქმით, „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონი ცვლილებები განხორციელდება, რომლის გათვალისწინებითაც, პოლიტიკური პარტიების წევრებსა და მონაცემებში შესწორებების შეტანის დროს ნოტარიუსის მონაწილეობა იქნება დაშვებული.

სამართლებლო ეპოქა საზოგადოებაზე კრიმინალიზებული პოლიცია



შინაბან საქმეთა მინისტრის კანდიდატ გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, კრიმინალური პოლიციის შემდგომი მოდერნიზაცია გაგრძელდება, რაც პოლიციის შესაძლებლობებს გააუმჯობესებს დაანაზღაურების პრევენციისა და მასთან ბრძოლის კუთხით.

გიორგი მღებრიშვილმა სამინისტროში გასატარებელ რეფორმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ნინასარჩევნო დაპირება შეასრულა და უწყების დეპოლიტიზაციის შემდეგ 2015 წელს სისტემური ცვლილებები განახორცი-

ელა. მათ შორის, უწყებას უსაფრთხოების სამსახური გამოეყო და ახალი ამოცანები განისაზღვრა.

მისივე თქმით, იგეგმება ვიდეო მონიტორინგის სისტემის გაფართოება.

„იმისთვის, რომ პოლიცია ბევრად ეფექტური და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული გახდეს, სამოქმედო გეგმა განისაზღვრეთ. ჩემი პრიორიტეტია, დანაშაულის პრევენციის კომპონენტის გაძლიერება და ვიდეო მონიტორინგის სისტემის გაფართოებას ვგეგმავთ. ასევე ახალი მიდგომები დაინერგება, რომლის მიზანია, პოლიციის საზოგადოებასთან დაახლოება. ანალიზზე დაფუძნებულ პოლიციას ვაყვარებთ და დემ-ის ბანკის შექმნას ვგეგმავთ, რაც დანაშაულის პრევენციის ფუნქციას გაძლიერებს. ეს ნოვატია წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს კრიმინალისტიკის არსებობის პირობებში“, – განაცხადა შს მინისტრობის კანდიდატმა.

მღებრიშვილის ცნობით, საერთაშორისო საპოლიციო არეალი გაიზრდება და მომავალ წელს, შსს ევროპულთან ყველაზე მაღალი დონის ხელშეკრულებას ხელს მოაწერს.

„პოლიციის დანაყოფებისთვის მოხდება ინფრასტრუქტურის განვითარება და აღჭურვა. შემუშავებულია უზნის ინსპექტორის ახალი კონცეფცია. ჩვენ მიერ დასახული ამოცანების განხორციელების შედეგად, მას შემდეგ რაც დანაშაულები რეფორმებს ბოლომდე მივიყვანოთ, საქართველოს ეყოლება საზოგადოებაზე კიდევ უფრო მეტად ორიენტირებული პოლიცია, ეფექტური საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ექნება საზღვრის მართვის ინტეგრირებული სისტემა და თანამედროვე სერვისები, რაც საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მართლესრობის და საზოგადოების უსაფრთხოების უკეთეს დაცვას. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას საჯეროდეს პოლიციის, ენდობოდეს მას და ასევე თითოეული პოლიციელი გრძნობდეს მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან“, – განაცხადა მღებრიშვილმა.

სამინისტროს პრიორიტეტი კერძო სექტორის სტიმულირება

საბარტეველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობის კანდიდატ დიმიტრი ქუშიშვილის განცხადებით, სამინისტროს მთავარ პრიორიტეტად კვლავაც კერძო სექტორზე ორიენტირებულობა რჩება.



„ეკონომიკის სამინისტროს პრიორიტეტი არის და რჩება კერძო სექტორზე ორიენტირებულობა. კერძო სექტორი ჩვენი სექტორის, ეკონომიკის მამოძრავებელია და მისი სტიმულირება როგორც პოლიტიკის, ისე ინსტრუმენტის დონეზე ჩვენი ძირითადი ამოცანა იქნება. როგორც ვაჭრობის პოლიტიკის გამტარებელი უწყება, ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან თუ სავაჭრო ბლოკიდან რაც შეიძლება მეტი პრევენციული სავაჭრო რეჟიმი მოვიპოვოთ. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაწარმოები პროდუქცია თუ მომსახურება სხვა ქვეყნებში დაუყოვნებლად შევიდეს. ასევე ხელს შევწყობთ ინოვაციების განვითარებას“, – განაცხადა დიმიტრი ქუშიშვილმა.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

იუსტიციის საბჭო, მარეგულირებელი კომისიები, ეროვნული ბანკი და საერთოდ საბანკო სექტორი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი სტრუქტურები ყოფილან. მათს საქმიანობაში ჩარევის უფლება არა აქვს არც ხალხს და არც სახელმწიფო ორგანოებს.

უკაცრავად, მაგრამ ვერ გავიგე, რას ნიშნავს ასეთი პოზიცია? ე.ი. გვაქვს რამდენიმე „სახელმწიფო“ სახელმწიფოში.

ეს ე.წ. სტრუქტურები არ ემორჩილებიან და ფაქტობრივად, ხალხის ნების წინააღმდეგ მიდიან, რითაც არღვევენ საქართველოს უმაღლესი კანონის, კონსტიტუციის მეზუთე მუხლს:

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილი ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება, მიითვი-სოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.



კონსტიტუციის, როგორც უმაღლესი კანონის შესრულება, ჩვენი, ანუ ხალხის გადასაწყვეტია და სხვა არავის!!!

● გურმანი კორეელივით მაინტერესებს, სად არის ძალის თავი დამარხული.

● ლევან მურუსიძის „არჩევამ“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოში პოლიტიკური სპექტრი და ხალხი აბსოლუტურად სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებიან.

პოლიტიკურ სპექტრს საერთოდ უგულვებელყოფილი ჰყავს მოსახლეობა და მხოლოდ სპეკულაციური და მოკლევადიანი პოპულიზმისთვის იყენებს ხალხის მოთხოვნებს.

ქართველმა „პოლიტიკანებმა“ მიაღწიეს თავიანთ მთავარ მიზანს. მათ ხალხისგან განდგომით, მოსახლეობასთან მიმართებაში „არისტოკრატულუშენის“ დამოკიდებულების დამყარებით გამოიწვიეს საზოგადოების ინერტულობა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი მოსახლეობის ამჩემფეხება დამოკიდებულება.

ხალხმა უარი უნდა თქვას დღეს არსებულ სრულ პოლიტიკურ სპექტრზე, უარი უნდა თქვას ყველა პოლიტიკანურ ორგანიზაციაზე და თავის ხელში აიღოს რეალური ძალაუფლება, თავის ხელში აიღოს თავისი მომავლის განსაზღვრა.

შეიძლება ეს განცხადება ჩაითვალოს რევოლუციისკენ მონოდებად!

დაე ასეც იყოს! მათ მოინდომეს რევოლუცია და უნდა მიიღონ კიდევ!

● ესენი ისეთი უნამუსოები არიან, სირცხვილის დერეფანს ლოკიას მიაშენებენ!!!

● პრეზიდენტის მონოდებას იმ ზნეობრივ პრინციპებზე დაბრუნებისაკენ, რომელთა დეკლარირებითაც მოვიდა დღევანდელი ხელისუფლება, ალტერნატივა არა აქვს.

ამისკენ მონოდება ნამდვილად პრეზიდენტის მოვალეობაა, ზნეობრივიც და მოქალაქეობრივიც, თუ ან მინც გაითვალისწინებენ კარგი იქნება.

მე სრულად ვიზარებ მის პოზიციას და ეს ერთადერთი შანსია, საბოლოოდ არ განწყდეს კავშირი ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს შორის.

ამოკრება ბიზ ბაზარშიძე

რაც კარგია, კარგია!

სერიოზული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები 2015 წელს

წლის ბოლო, როგორც წესი, შედეგების შეჯამების დროა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ცვლილებების წინაშეა, მინისტრები ერთმანეთის მიყოლებით, განწული საქმიანობის – მათ შორის, ეკონომიკურის – პრევენციაციებს აწყობენ. სხვებთან ერთად, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის საინვესტიციო დანახარჯებიც ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთი გზაა.

ალბათ, საზოგადოებას ახსოვს მინისტრის განცხადებები, რომ წლის ბოლომდე პროექტების ნაწილის სრულად განხორციელება ვერ მოხერხდებოდა. ამ პროექტების ამბავი, დიდი ალბათობით, მოგვიანებით გახდება ცნობილი, მანამდე კი რამდენიმე სიტყვით იმ ინვესტიციების შესახებ, რომელიც სამინისტროს მიერ 2015 წელს ყველაზე მნიშვნელოვნად ჩაითვალია:

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, წყალტუბოში, რეგიონალური განვითარების პრო-

ექტის ფარგლებში, ქალაქის რეაბილიტაცია განახორციელა. პროექტის ღირებულება 38 მილიონ ლარზე მეტია და მასზე 500 ადამიანზე მეტი დასაქმებული.

2015 წელს პირიქითა და პირაქეთა ხევისურეთის დამაკავშირებელი 28-კმ-იანი გზის მშენებლობა დაიწყო. როგორც არსობის დამაკავშირებელი გზა აქამდე არ არსებობდა და გადაადგილება მხოლოდ ფეხით, ცხენითა და ვერტმფრენით იყო შესაძლებელი. ხელისუფლებამ იმედოვნებენ, რომ გზის მშენებლობის შემდეგ მშობლიურ სოფელში რამდენიმე ათეული ოჯახი დაბრუნდება. პროექტის ღირებულება 11 მილიონამდე ლარია.

წელს ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე რუისი-აგარას 19,5-კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთი გაიხსნა. პროექტის ფარგლებში აშენდა: ოთხზოლიანი ცემენტბეტონის გზა, 5 გზაგამტარი, ორდონია-



ნი გადაკვეთებით, და 3 პარალელური სახიდე გადასასვლელი. პროექტზე, რომლის ღირებულება 70 მილიონ ლარია, 500-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული.

განხორციელდა თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის პირველი და მესამე სექციაზე 10,6 კმ გზის მშენებლობა.

კიდევ ერთი პროექტი მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობაა, რომე-

ლიც განახლდა. პროექტის ფარგლებში, მოხდება გვირაბების რეაბილიტაცია, მოწყობა სადგურის მიწისქვეშა და მიწისზედა შენობები, ამოსასვლელი ვაჟა-ფშაველას გამზირზე და სანდრო ეულის ქუჩაზე, გაკეთდება სალიანდგო საზები, მოწყობა ელექტროქვესადგური, ესკალატორები, სავენტილაციო და სადრენაჟე სისტემები, ასევე, სიგნალიზაციის მართვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, გაკეთდება სათაღარიგო ამოსასვლელი ბი. მშენებლობის ხანგრძლივობა 24 თვეა.

ლოკიკურად, ამ დანახარჯებმა – მაგალითად, წალენჯიხის ან ხევსურეთის შემთხვევაში – ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივი შემოსავლების გაზრდას უნდა წააშველოს ხელი. ამიტომ ერთი და ორი წლის თავზე ძალიან საინტერესო იქნება მსგავსი დანახარჯების ეკონომიკური ეფექტიანობის დათვალი და სამომავლო მიუჯეტების ამის მიხედვით დაგეგმვა. მაგალითად, თუ მსგავსი დანახარჯის ეფექტიანობა გაცილებით დიდია, ვიდრე სოფლის მეურნეობის სუბსიდიების, ხელისუფლებამ შესაბამისი არჩევანი უნდა გააკეთოს კიდევ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ფაქტია, რომ მსგავსი ანალიზი ქვეყანაში არ ხდება და აქცენტი ხშირად უფრო პოპულისტურ და ნაკლებეფექტიან ხარჯებზე კეთდება, ვიდრე, თუნდაც, ზემოთ მოხსენიებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ნიწო ვეხანიძე, რადიო „თავისუფლება“

კვლევი ახალი თავსატეხი



სოფლად „ჯაყოს სიზნების“ მსგავსი პირობა გვაქვს!

მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით ექსპერტები ხელისუფლებას გონივრულ გამოსავალს სთავაზობენ. ის, რომ დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთების განვარგება და სარგებლობაში გადაცემა ერთი წლის ვადით აიკრძალებოდა და სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირდება, მათი აზრით, დრაკონული კანონი იქნება. ამიტომ სახელმწიფომ კეთილი ნება უნდა გამოავლინოს ამ პროცესში.

ექსპერტთა აზრით, ქალაქში მცხოვრებ მოქალაქეს თუ სოფლად მცხოვრებ გლეხს თანხები რომ ჰქონოდათ, ამ ნაკვეთებს წლების განმავლობაში ისედაც დაირეგისტრირებდნენ. ახლა კი აზოვიკით ნახაზის მომზადება, საჯარო რეესტრში მიწის დარეგისტრირება არცთუ იაფი სიამოვნებაა. ამიტომ პირველადი რეგისტრაციის დროს სახელმწიფომ უნდა დაურეგისტრიროს მოქალაქეებს ეს ნაკვეთები. შემდეგ კი, მეორადი გადასახადებისას, მოქალაქეები თავად გაიღებენ თანხებს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სოსო არჩვაძე აცხადებს, რომ კერძო საკუთრების დარეგისტრირება აუცილებელია, რათა ისე არ მოგვივიდეს, როგორც ქართულ ანდაზაშია — შვიდ ძიძას ბავშვი მშვიერი დარჩაო. იმის დეკლარირება, რომ თურმე ბებია და ბაბუა ფლობდნენ მიწის ნაკვეთს, სოსო არჩვაძის თქმით, საკმარისი არ არის, რადგან მიწის რეალური მფლობელი მიწის იურიდიული მესაკუთრე უნდა გახდეს. განსაკუთრებით, ეს პრობლემა მოითხოვს, სადაც ისტორიული და გენეტიკური მესხერება მძაფრდება წარმოდგენილი. თუმცა ჩვენ უკვე მომავალი წლის ბიუჯეტი დავამტკიცეთ და აღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით კონკრეტულად არაფერია გაწერილი.

90-იანი წლების დასაწყისში საცხოვრებელი ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემა მყისიერად მოხდა და მოსახლეობას ამისთვის არაფერი გადაუხდია. მიწის ფონდთან დაკავშირებითაც სახელმწიფოს კეთილი ნების გამოხატვა მართებს. შეიძლება, გარკვეული ზღვარიც დაწესდეს და, ვისაც მიწის ნაკვეთი რესურსი გააჩნია, გათავისუფლდეს გადასახადისგან. ისევე, როგორც ფერმერები, რომელთა ბრუნვაც წლის განმავლობაში 200 ათასს აღემატება, დამატებითი ღირებულების გადასახადს ისდიან, სოლო, ვისაც ნაკლები ბრუნვა აქვს, არ ისდიან ამ გადასახადს. გარდა ამისა, უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, დამცავი დათქმაც უნდა ჩაიდოს, რომელიც მიწის ფონდის ისე განიავების საშუალებას არავის მისცემს, რომ მერე სულ სხვა პოლიტიკური სი-

თულით დაუბრუნდეს სახელმწიფოს, — აღნიშნა სოსო არჩვაძემ და აქვე განმარტა, რომ დღეს სოფლის მეურნეობაში საუკუნუნახვერიანი ჩამორჩენა გვაქვს და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმეჯერ იყო ევროპასა და ამერიკაში, ისეთივე მდგომარეობა ჩვენს სოფლის მეურნეობაში, სადაც, დანარჩენ დარგებთან შედარებით, 11-ჯერ დაბალია შრომის მწარმოებლურობა, ანუ პროდუქციის წარმოება ერთ დასაქმებულზე სოფლად.

ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში უძრავი ქონების მხოლოდ 20-25%-ია დარეგისტრირებული, დანარჩენი დასარეგისტრირებელია. ამ მხრივ უზარმაზარი სამუშაო ჩასატარებელი, თუმცა გლეხს ფული არა აქვს იმისთვის, რომ საკუთარი მიწა და სახლ-კარი დაარეგისტრიროს. ამის გა-

გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას. — თეორიულად ვითარება ასეთია, თუ არ დარეგისტრირა გლეხმა სახლ-კარი, სახელმწიფო თავის საკუთრებაში დაარეგისტრირებს. ერთი წლის შემდეგ ამაზე წარმოიშობა დავა, გლეხი დაიწყებს მტკიცებას, რომ ეს მიწის ნაკვეთი მის მფლობელობაში იყო და, სამართლიანი სასამართლოს შემთხვევაში, მოიგებს. დარეგისტრირების პროცესში ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ეს გლეხს საკუთარი ხარჯით კი არ უნდა გაეკეთებინა, არამედ — სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სახელმწიფომ პირველადი რეგისტრაციის პრობლემა მოქალაქეს არ უნდა შეუქმნას, მერე კი, ვინც იყიდის მიწას, იმან დაარეგისტრიროს. თორემ აზოვიკით ნახაზი ფასიანია, რეესტრში წასვლაც სარჯიანია. გააჩნია, რამხელა ნაკვეთი. მიწის პატარა ნაკვეთი, სულ ცოტა, ას ლარამდე დაჯდება. ამასთან, ეს ნაკვეთები სახელმწიფო საკუთრებად კი არ უნდა ითვლებოდეს, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის, რადგან სახელმწიფოსთან დავა რთულია, თვითმმართველობა კი შენთან უფრო ახლოსაა. სამწუხაროა, რომ სოფელი აღარ წარმოადგენს სამართალსუბიექტს, რომელსაც სათემო საკუთრება ჰქონდა. ადრე კი ქართული ტრადიციით, საკუთრების ორი ფორმა არსებობდა — კერძო და სათემო საკუთრება. სოფლის იყო საძოვარი, სათიბი, ტყე, წყალი, სარეზერვო მიწები. რუსეთის იმპერიაში ეს უფლება მოიხსო. ახლა, რახან თემი დაშლილია და საკუთრება არა აქვს, ყველა, ვინც სოფელში ცხოვრობს, პრაქტიკულად სიზანია. ჯაყოს სიზნების მსგავსი ვითარება გვაქვს, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

მანანა ნოზაძე

ჩვენს მოქალაქეებს ფული არა აქვთ, რომ საკუთარი მიწა და სახლ-კარი დაარეგისტრირონ

თვალის დაუდგამ გაჭირვებას

დახარკულ იპოთეკარებს ტყუილად უხარიან, რომ სხლავს პირ ბაუყილიან!

პარლამენტმა საპოლიციო წესით გამოსახლების გაუქმების შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით 11 დეკემბერს პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა, თუმცა იგი ჯერ ძალაში არ შესულა. მას პრეზიდენტის ხელისმონწერა აკლია. ამ ეტაპზე უცნობია, გამოიყენებს თუ არა პრეზიდენტი ვეტოს უფლებას, თუმცა, პარლამენტში მიაჩნიათ, რომ ვეტოს დაძლევენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების — „თანადგომა და სამართლიანობა“, „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია“ და მოძრაობა „ხალხის ხმა“ პრეზიდენტის ადმინისტრაციას პრეზიდენტთან შეხვედრის თხოვნით ოფიციალური წერილით მიმართავენ.

„მე მაინც მგონია, რომ საქართველოს პრეზიდენტი კეთლგონიერია, სახელმწიფოებრივად აზროვნებს და არავითარ შემთხვევაში ვეტოს არ დაადებს ამ კანონს. ეს არის ცივილური კანონი, რომელიც მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანაში მოქმედებს“, — ამბობს „თანადგომა და სამართლიანობის“ ხელმძღვანელი ნანა ქადაგიშვილი.

პრეზიდენტის მიერ კანონპროექტზე ვეტოს დადებას არ ელოდებიან საპარლამენტო უმრავლესობასა და არც უმცირესობაში. პარლამენტში ერთხმად აცხადებენ, რომ საპოლიციო ინსტიტუტის მექანიზმის გაუქმება აუცილებელი იყო.

„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ადამიანების ბედით ძალიან შეწუხებულია პრეზიდენტი და ბუნებრივია, ყველაფერს გააკეთებთ ჩვენ ერთად იმისთვის, რომ მომავალში, ასეთი ტიპის პრობლემები აღარ იყოს ქვეყანაში“, — აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ აბაშიძე.

იგივე პოზიციაზეა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილიც: „არ ველოდები ვეტოს დადებას იქიდან გამომდინარე, რომ ეს მიდგომაა — დანაშაული პოლიციამ, სოლო გარიგების დარღვევა სასამართლომ გააჩიროს. ეს სწორი მიდგომაა. ხალხიც ამ პოზიციაზეა“, — აცხადებს ქუცნაშვილი.

სულ სხვაგვარად ფიქრობენ ბანკების წარმომადგენლები, რომელთაც ახალი კანონი სერიოზულ პრობლემას შეუქმნის. თუმცა ბანკების ასოციაციაში პირიქით ამბობენ, რომ საბანკო სექტორი არ არის აგრესიული კრედიტორების

მიმართ. მაშინ რატომ ეწინააღმდეგებიან ბანკები ამ კანონს ასე თავგამოდებით?

„თქვენ რომ ნახოთ პროცენტული მაჩვენებლები, თუ რამდენი ოჯახი ჰყავთ ბანკებს გამოსახლებული, ეს უმნიშვნელო ციფრია. უფრო მეტსაც გეტყვით — მე არ მესმის, რას ნიშნავს ტერმინი „იპოთეკით დახარკულული“. როგორ არიან დახარკულულები, როცა ფული წაიღეს და ბანკს არ უბრუნებენ? — დახარკებული პირიქით, აქეთა მხარეა. დაფუძვით, 100-ათასიანი სახლი აქვს ჩადებული და 20 ათასი აქვს გადასახდელი, იპოთეკარმა რომ მოინდომოს, გაყიდოს ამ სახლს, ბინასაც იყიდოს და სესხსაც გაისტუმრებს, მაგრამ ამას არ აკეთებენ. ახლა კი რა მოხდება? — თუ პარლამენტის მიერ მიღებული პროექტი ძალაში შევა, იპოთეკარებს უფრო მეტი ფული დაეხარჯებათ სასამართლო ხარჯებში და ადვოკატის მომსახურებაში. ყველა ის ხარჯი, რომელიც სასამართლო პროცესს მოჰყვება, მათი გასახტუმრებელი იქნება, ბოლოს კი, პროცესი აუცილებლად დამთავრდება მათი წაგებით.“

ამ ხალხს იმედი აქვს, რომ ვიღაც ციდან ჩამოუგდებს ფულს, ამიტომ თავის ქონებას არ ყიდის. ათასგვარ მიზეზს ასახელებენ: „ბაბუაჩემის აშენებულია და



არ მინდა დაგვარგო“, „ბებიჩემმა დამიტოვა მემკვიდრეობით“, „ამ სახლში გავიზარდე და გავიდვა არ მინდა“...

ვეტოს არ ველოდებით და მაინც უნდა ვიჩივლოთ საკონსტიტუციო სასამართლოში, რადგან ვეტოს შემთხვევაშიც არის საშიშროება, პარლამენტმა გაიმარჯვოს და ეს ვეტო დაძლიოს. ბოლოს, პარლამენტის თავმჯდომარე მოაწეროს ხელი და ეს კანონპროექტი საბოლოოდ კანონი გახდეს. ეწ. დახარკებული იპოთეკარებს კი, ტყუილად უხარიან, რომ სახლებს ვერ გაუყიდიან“, — აცხადებს ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ გვასალია.

გამა დანელია

ალიან-ჩალიანი

უპირისპირდებიან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

საბაშვილი იუსტიციის ადმინისტრაციული პალატის მოსამართლედ ლევან მურუსიძის არჩევას პოლიტიკური პარტიები აპროტესტებენ. „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის მამუკა კაციტაძის განცხადებით, ამ საკითხში საზოგადოება კონსოლიდირებულია და სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალებებით უნდა მოხდეს საერთო სასამართლოების შესახებ კანონმდებლობის შეცვლა, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ შემადგენლობას დაშლის.

„შევიმუშავებთ როგორც სამართლებრივ, ასევე პოლიტიკურ საშუალებებს იმისათვის, რომ პარლამენტზე ზეწოლით, ხელი-სუფლებლაზე ზეწოლით, არ შევეგუოთ იუსტიციის საბჭოს ამ გადაწყვეტილებას. ეს არის საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაცია, რაც სწორად მომხდარა საქართველოში და რასაც თავისი ნაყოფი გამოუღია და ეს არის სამართლებრივი ბრძოლა, რომ საერთო სასამართლოების შესახებ შეიცვალოს კანონმდებლობა, სადაც შესაძლებელი გახდება მოქმედი იუსტიციის საბჭოს ამ ფორმით დაკომპლექტების წესის შეცვლა“, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ შემადგენლობას დანაშაულებრივი ჯგუფი უწოდა „გაერთიანებული დემოკრატების“ წარმომადგენელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

„ყველა ღონეს ვისმართ, რომ საბოლოო შედეგად მივაღწიოთ იმას, რომ მოხდეს უფლებამოსილების შეწყვეტა იმ დანაშაულებრივი ჯგუფისთვის, რასაც დღეს ეწოდება იუსტიციის უმაღლესი საბჭო“, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ამ მიზნის მისაღწევად მმართველ გუნდთან, საპარლამენტო ოპოზიციასა და ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელ ზაზა ხატიაშვილთან კონსულტაციების გამართვას აპირებენ.

გეგინაშვილი

ჩვენი გაზეთის მკითხველთაგან ბევრი მისვდება, ალბათ, რომ ეს სათაური მთლად ორიგინალური არ არის. ზოგიერთმა შეიძლება, პლაგიატობაც კი დამატარალოს, ამიტომ გულწრფელად ვაღიარებ: ეს სათაური ლენინის მოვარე, მისი შინაარსი ჩემი ამოცანის შესაბამისად გადავაკეთე, კონსტრუქცია კი ხელნაწერად დავტოვე. ასე, რომ, შეიძლება ვინმემ კრიმინალური დანაშაულიც კი ამკიდოს: ლენინი გაგვიძარცვავს შენო.

მე, ბატონო, შექსპირის ერთგული მკითხველი ვარ და დიდი ნდობაც მაქვს მისი. გახსოვთ, ალბათ, ოტელოს რომ ათქმევინა შექსპირმა: „გაძარცვულ კაცსა გაძარცვული არ ეთქმის, თუკი ვერას გაიგებს და დანაკარგს არ მოიკითხავს“-ო. მჯერა მე ამ სიბრძნისა და, ამიტომ, არც ლენინი მიმაჩნია ჩემგან გაძარცვულად. მტერი არ არის მეტი, იმან რაიმე გაიგოს და დანაკარგი მოიკითხოს! ისე, ქრისტეს ფეხისმკვნიტელი კი იყო, ოხერი, მაგრამ სტატისტიკის სათაურების მოფიქრება იცოდა ნამეტნავად კარგად. თუ მშვიდობა იქნა, მომავალშიც უნდა ავწაპანო ერთი ორი-ოდე სათაური. რა მოხდება, ვითომ, თვითონ ღვთივ კურთხეულ რომანოვების დინასტიას მთელი რუსეთი ააფცქვნა და მე რომ ორიოდე პუბლიცისტური მიგნება შევანერო, რა დაშავდება ამით, ნეტავი? არც არაფერი და თანაც, ამჯერად, ძალიან მჭირდება: ლენინი თუ „ხალხის მეგობრებს“ აკრიტიკებდა, მე „ხალხის რჩეულებთან“, ანუ პარლამენტის დეპუტატებთან მაქვს საქმე, რომლებმაც ისეთი ღორული ბუნება (მადა, შეგნება, ინტელექტი) გამოავლინეს, ეს რომ ადრე გვეცოდნოდა, დეპუტატებად ავირჩევდით კი არა, ქუჩაში გამარჯობასაც არ ვეტყოდით არც ერთს.

ამ სამი წლის წინათ, კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებით აღფრთოვანებულ ხალხს რომ ვუცქეროდი, მეც ცრემლი მადგა თვალზე.

მერე და მერე, სავარძლები რომ გაათბეს და თბილისი-ქუთაისის გზაზე მდებარე რესტორნების მენიუები შევირად ისწავლეს, როგორც გონებასუსტებს ემართებათ, პარლამენტარებმა ისე გადაივინყეს თავიანთი წარმომავლობა, საკუთარი ინტელექტის სიგრძე-სიგანე და გაუტიეს და გაუტიეს... თურმე, მადა, მართლაც, ჭამაში მოლის. ამით ხომ მადა ისეც არ აკლდათ! ის კი არა, ზოგიერთს რომ შეხედავ, იფიქრებ, ეს შობელძალი, ერთი წელია კუჭში არ გასულაო...


არ იფიქროთ, ნაცების ხელისუფლებაში დარჩენა მდომებოდა! ღმერთმა დამიფაროს! ნაცებანდა ხელისუფლებას ჩამოგვეშორებინა კი არა, დაუყოვნებლივ უნდა გავკვსამართლებინა რამდენიმე მძიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამო. ეს, როგორც ორგანიზაცია! მისი ცალკეული წევრები კი, პარლამენტსა და მთავრობაში რომ ბრძანდებოდნენ, მკაცრი რეჟიმის საპატიმროში უნდა ისხდნენ სახელმწიფო ღალატისა და პიროვნებათა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო. ეს ასე, მაგრამ ვინც ავირჩიეთ, ხელისუფლება უკონტროლოდ როგორ განდეთ მათ? ან იმ კაცისთვის უნდა გვეგდო ყური და გვეკრა ტაში, სამტრედიის სადაგურში მდგომი სატვირო მატარებლებზე რეკლებზე რომ მიადებლავინა მისნაირ „ეროვნულ მოღვაწეებს“ და „ეკონომიკური ბლოკადა“ გამოუცხადა რუსეთს?

თავიდანვე თუ ვერ მივხვდით იმას, რომ, ვითომ ჩვენს მიერ არჩეული ახლები, იმავე კაცის მოყვანილები იყვნენ ხელისუფლებაში, ვინც თავის დროზე მათი წინამორბედები მოიყვანა, კოჰაბიტაცია რომ შემოგვანჩქეს, მაშინ ხომ მაინც უნდა მივხვედრილიყავით ამას! ვერ მივხვდით და აჰა! ვუყუროთ ახლა როგორ მართავს აბობოქრებულ ოკუპანტი ხომალდი „საქართველოს“ პროსპერ მერიმეს ტამანგა და მისი ეკიპაჟი! ტამანგოს კეთილშობილური მიზანი მაინც ჰქონდა: ხელში ჩაგდებული ხომალდის სამშობლოში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ნავიგაციის ანბანი არ იცოდა, უბედურმა და დაიღუპა ხომალდთან ერთად. ამ ჩვენს „რჩეულებს“ კი სამშობლო და ხალხი ცალფეხზეც არ ჰქვიათ, თავიანთი პირადი კეთილდღეობაა მხოლოდ მათი საფიქრალი და საზრუნავი!

აგერ, ახლანდ პარლამენტის ერთმა დეპუტატმა ინიციატივა გამოიჩინა და კანონმდებლობაში ცვლილება მოითხოვა. რას მოითხოვდა იცით? თანამდებობის პირებისათვის სახელფასო დანაშაულებსა და პრემიებზე უარი უნდა ეთქვათო მერე და რა ჰქნეს, „ხალხის რჩეულებმა“? რა და, ეს საკანონმდებლო ინიციატივა ჩააგდეს! ამ ცვლილების წინააღმდეგ ხმა მისცეს (ნაც-დეპუტატებზე არაფერს ვამბობ!), „ქართული ოცნების“ ისეთმა წევრებმაც, რომლებსაც თავი მოაქვთ ინტელექტუალურად და რაინდებდა, ეროვნულ მოღვაწეებად და, საერთოდ, „კვიბი-ბეჭებად“. ზოგიერთები ჩონა-ახალუსში გამოწყობილები გამოიჭიმებიან სოღემე პარლამენტის სხდომაზე.

ამ „რჩეულებს“ უნდა ვუთხრა: მათხორცობა ყველაზე უფრო უღრისი საქციელია. მათხორცარი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ღატაკი და უშოვარი, არამედ მდიდარიც და დიდი თანამდებობის კაციც. მათხორცობა, ისევე როგორც მონობა, ეკონომიკური და პოლიტიკური კი არა, სულიერი მდგომარეობაა. ის ჩინოვნიკი, რომელსაც 6-7-ათასიანი ხელფასი აქვს და დენის ვაუჩერით 160-ლარიან პენსიონერებთან თანაბრად სარგებლობს, მათხორცარია, აბა, რა! ის პარლამენტარები, რომელთა ხელშია კანონშემოქმედება, თავიანთ შინაარსიან ხელფასებს რომ იორკეცებენ და 150-ლარიან პენსიონერებს 10 ლარს უმატებენ, განა კანონიერი მათხორცები არ არიან?! არიან! თანაც მათხორცარი მოძალადეები!

პატრიოტი კაცი თავის სამშობლოზე უკეთესად არ უნდა ცხოვრობდესო, – მამულიშვილის ნათქვამია ეს და მის ჭეშმარიტებაში, ძალიწვილის მეტი, ეჭვს ვერავინ შეიტანს. ჩვენი „რჩეულები“ სამშობლოზე უკეთ ცხოვრობენ კი არა, მგონი, მთლად გაღორდნენ. ნიღბებსაც აღარ იკეთებენ, არჩვენებამდე რომ ეკეთათ, ისეთს. რალაში სჭირდებათ!



რანი არიან „ხალხის რჩეული“ და როგორ იბრძვიან ისინი თაყვანის კეთილდღეობისთვის

არა და, ინტელექტუალური ცვედნები არიან, რადგან იმას ვერ ხვდებიან, დეპუტატისა და მინისტრის საჯაროებში ჩაჯდომით მათი ღორული-მათხოვრული ბუნება არ შეცვლილა. საბათნოვას ერთ სიბრძნეს შევახსენებ მათ: „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რა გინდ მალლა თახჩაშიაც შაიდოს“. ისე, რომ გოგრა, ანუ კვახი გინდა გოდორში ეგდოს, გინდა სერვანტში იდოს, მაინც გოგრა და მაინც კვახია.

პო, და მალლა თახჩაში „შადებულ“ ხალხის რჩეულ გოგრებს, ანუ კვახებს აბარიათ დღეს ჩვენი სამშობლოს – საქართველოს ბედ!

სხვაზე იზრუნებს გოგრა, ანუ კვახი? ამის მეტი იმედი არ მიეცა ჩვენს მტერს!

მე ახლა ჩვენი მტერი დავწყველე, მაგრამ ჩვენ ვინ დავწყველა ნეტავი: ისეთი ხელისუფლება მოგცეთ, თავისი არ იცოდეს და არც სხვისი ესმოდესო. რა დავაძვეთ ისეთი, ზუსტად რომ აგვიხდა ეს წყევლა. გადახედეთ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას და დაინახავთ ჩვენი დამაწყვეარის მაგიურ ძალას...

საგარეო პოლიტიკა ამ „რჩეულ“ გოგრებს ნატოში შევდივართ, ნატოში, – ამის ძახილი ჰგონიათ. ვერ შეხვალთ ნატოში, არაერთხელ უთხრეს ამ კვახებს, ვისაც ეთქმოდა ეს, მაგრამ შეისმინა ვინმემ? ისევე ისეთივე „დიპლომატიური“ სიჯიუტით იმეორებენ ეს გოგრები: დღეს თუ არა, ორშაბათს მაინც მაპზე უკეთესს მივიღებთ და ნატოშიც უკონკურსოდ შევალთ. კარგად დასცინა ამას წინათ ჩვენს „პოლიტიკურ“ კვახებს ერთმა ცნობილმა პუბლიცისტმა გაზეთში: „გერმანულად გითხრეს ვერ გაიგეთ, ინგლისურად გითხრეს ვერ გაიგეთ, ფრანგულად გითხრეს ვერ გაიგეთ, ახლა მეგრულად გეტყვით და იქნებ გაიგოთ: ნატოში მიშულა ვარია ნიე!“ ვერც ეს გაიგეს ამ კვახებმა! კვახი იგივე გოგრაა და მეტის გაგება არ იცის გოგრამ! აი, ესენი არიან „ხალხის რჩეულები“!

ანდა „ნატოში“ რა სიკვდილი უნდათ, ნეტავი? ფართოდ გავრცელებული აზრია, ძალა თუ გაქვს, თითქოს, ჭკუა არ გჭირდება მაშინ. არა მგონია მართებული

იყოს ეს აზრი, მაგრამ ჭეშმარიტების რალაცა ნანოლი მაინც არის მასში. ის კი ნამდვილად უბედურებაა, თუ არც ძალა გაქვს და არც ჭკუა. ასეთი უბედურება სჭირთ ჩვენს „ხალხის რჩეულებს“.

ამას წინათ ერთ-ერთმა რჩეულმა „გოგრამ“ საჯაროდ განაცხადა: თუნდაც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სახანჯლოდ, რუსეთთან არაფრის დათმობაზე არ წავალთ.

ამ გოგრას, ანუ კვახს, თუ გავაგონე ეს ნათქვამი, მიწა ვუთხრა: **ჯერ ერთი, რისი დათმობა გთხოვ რუსეთმა, რაიმეს სანაცვლოდ, გაგვაგებინე ერთი მეორეც, შე მართლა კვახი, ვეროპის ერთ-ერთი უმდიდრესი ატომური სახელმწიფოს – საფრანგეთის პრეზიდენტს რომ დასჭირდა, თავისი ფეხით ეახლა ჯერ კიდევ ევროკავშირ-ამერიკისაგან სანქციადადებული რუსეთის პრეზიდენტს და ასე მიმართა: ვლადიმერ, ჩემო ძვირფასო. მის ძვირფას სამშობლოს – საფრანგეთს ვლადიმერ პუტინის დახმარება რომ დასჭირდა, საფრანგეთის პრეზიდენტისათვის ამიტომ გახდა ვლადიმერი ძვირფასი. შენ არაფრის დათმობი არ ხარ ჩვენი ქვეყნის ერთიანობის სანაცვლოდ, რადგან საქართველოს შენს სამშობლოდ არ თვლი. შენი სამშობლო იქ არის, სადაც მაგ პოსტზე შენი მომთრეგები და შემწარუნებლები სხედან და ზიანს აყენებენ ჩვენს ქვეყანას.**

მე ვიყო კარგად და მენყერსაც წაულია ეს ქვეყანაო, – ასეთია ინტელექტუალური ცვედნების ფიქრი, რადგან იმას ვეღარ ფიქრობენ, დამწყვილად ადგილზე შეიძლება სხვაზე ადრე კვახი გასკდეს და გაისრისოს. კვახს, ანუ გოგრას მეტი ფიქრი არც მოუხოვება, მაგრამ იმ ხალხს, ვისი სანაცვლოდ რჩეულიც იგია, ხომ მოუხოვება მეტი და ფიქრება და წინდახედულობა? ასეა, ხომ? ჰო და ამიტომაც თქვა იმ ბრძენკაცმა: ხალხი როგორსაც იმსახურებს, ისეთი ხელისუფლება ჰყავსო. ვერ შეედავები! მთელი საკაცობრიო გამოცდილება ამ სიბრძნის დასაბუთებაა მხოლოდ. ერთი კია: გამოცდილება გონიერ კაცებს სიბრძნეს მატებს. ჩვენც თუ შეგვემატა რამე, მომავალში აღარ ავირჩევთ გოგრებს, ანუ კვახებს ხელისუფლებაში და აღარც შარავნის ყაჩაღებს ჩავაბარებთ ხაზინას, ხოლო, თუ ოცდახუთწლიანმა გამოცდილებამაც ვერაფერი გვასწავლა, მაშინ, უკაც-რავად პასუხია და მოგვეკლია პატრონი! არა და, მგონი, სწორედ აქეთ მიდის ჩვენი საქმე...

ისე, კაცმა რომ თქვას, პარლამენტში მყოფი ოპოზიციაც (რომელიც ნაცბანდის წევრებით არის დაკომპლექტებული და რომელსაც სადეპუტატო ნადატების 40% ერგო), „ხალხის რჩეულია“. მართალია, ნაცბანდისათვის ხმის მიცემა უზუნობა იყო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება! უფრო უბედურება ის არის, რომ ჩვენში პოლიტიკური თამაში იმავე წესითა და სცენარით გრძელდება, როგორც გუშინ იყო. **„ნაციონალი“ დეპუტატი, აქაოდა ოპოზიციის ვართო, ხალხის გაჭირვებასა და ხელისუფლების გულგრილობა-უგერგილობაზე „გულდათუთქული“ ლაპარაკობენ და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, უსმენს ხალხის ერთი ნაწილი: ისინი, ვინც მათი ამომრჩეველები არიან და ისინიც, ვინც მათ ხმა არ მისცა. უკვე იმის თქმასაც არ ერიდებიან, მიშა და მისი ნაცბანდა დაბრუნდებო. მართლ ნაცბანდის ბოსები (თუ ბოზები) კი არ ამბობენ ამას, არამედ ჩემი გულშეყვილი მეზობლებიც – ქსენია და ვალიკო, კატუშა და ანზორი...**

ვაი, თქვენს პატრონს! დოთა თუთაშხიასი არ იყო, სე-თურთი მოწებს რომ მიმართა გამწარებულმა, ისე უნდა მიემართო მიშა სააკაშვილისა და მისი ბანდის მონატრულ მესხიერებადაკარგულ ჩემს თანამემამულეებს: **ვინ ხართ, რა ჯიშის ხართ, თქვე უბედურებო? რა გიგოთ და რას დავამსჯავსათ ამოსაგდებმა „რუსთავი-2“-მა და მისმა მამბაღლა-ექსპერტ-პროვოკატორებმა ვერ ხვდებით ამას? პარლამენტის დარბაზის ერთ მხარეზე მსდომი დეპუტატები რომ გაღორდნენ და აძალდდნენ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ, დარბაზის მეორე მხარეს მსდომი ჩათლახები და შარავნის ყაჩაღები ფრთიან ანგელოზებად იქცნენ. დი-ვი-ჭკუა უნდა ამის მიხედვარს? რა თქმა უნდა, „რუსთავი-2“-ის მიერ თუ არ ხართ ტვინგამორეცხილები!**

გახსოვთ, ალბათ, „დიდოსტატის მარჯვენაში“ და, იქნებ, სინამდვილემაც, მეფე გიორგი I რომ ჩიოდა: ქვეყანას, რომელსაც ამდენი მოღალატე ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებოს. მოღალატეები ჩვენ რომ გვყავს, იმდენი სად იქნებოდა მაშინ! ამას დაუმატეთ „რუსთავი-2“-ისა და მისნაირი ტელევიზიების მიერ ტვინგამორეცხილები და ერიჰაა!

მე პირადად, სასწაულის იმედით ვარ, რადგან დავრწმუნდი, რომ ჩვენ ყოველ ოთხ წელიწადში ზუსტად ერთსა და იმავე შეცდომას ვუშვით ხელისუფლების არჩევისას. არც მომავალი წლის არჩევანი იქნება უკეთესი, თუ ის სასწაული არ მოხდა, მე და ჩემნაირები რომ ველოდებით!

ზურაბ ცუცქერიძე

ქვეყანაში

ქილაძემ ბუნების პირადი სტრუქტურის ამსახველი კადრები არ გამოაქვეყნა

ბაზაში „ქრონიკა პლუსის“ მთავარი რედაქტორი ელისო კილაძე თბილისის პროკურატურაში დაკითხეს. როგორც თურნალისტი დაკითხვაზე შესვლამდე განაცხადა, მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დაიბარეს. კილაძის ინფორმაციით, შაბათს გაზეთის რედაქციაში უცნობმა პირმა ფართული ვიდეორეგისტრირებული მითითა, რომელზეც დეპუტატ კვა ბესელიას პირადი ცხოვრებაა ასახული. მისი თქმით, ფაქტი პროვოკაციად შეაფასა და მასალა არ გამოუქვეყნებია. „პარასკევს მე დამიკავშირდა ჩემთვის უცნობი პიროვნება, რომელიც შაბათს მოვიდა „ქრონიკა პლუსის“ რედაქციაში. მან მითხრა, რომ აქვს ეკა ბესელიას და პოლიტიკატიმრების ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ვთვლი, რომ ეს იყო გამოზნული პროვოკაცია ჩემს და ალექსო ელისაშვილის წინააღმდეგ, იმიტომ რომ მან საუბარში ასევე მითხრა, რომ ჩემამდე ცდილობდა ალექსო ელისაშვილთან დაკავშირებას, რომ გადაეცა მისთვის ეს ფირი. გავსაჯაროვე ეს ამბავი, ფეისბუქზე დავეწერე სტატუსი, დამიკავშირდნენ პროკურატურიდან და მოვიდე“, – განაცხადა ელისო კილაძემ.

მედიანუსი

მაინც რისთვის სჯიან რუსეთს?!

რუმისა ტელევიკრანზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჯონ ქერის ინიციატივით, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მოლოდინში; როდესაც თავის მოქცევაზე ქერის დაფიქრებულ სახეს და კარის გაღებისთანავე უნებლიე შეხტომას (მაგაგას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანი რაღაც სასწაულს ელის); როდესაც სათათბირო ოთახში შესული პუტინისკენ ქერი ლამის სიბრლით მიემართება, გაღიმილებული მასპინძელი კი გულთბილად სახსოვს მას და თანხლებს პირებს, მაგადას მიუხდენ, უდავოდ გაგვიჩვენებთ მოსაზრება, რომ ამერიკა-რა-რუსეთს შორის გაჩენილია ყინულია ლღობა დაიწყო.

როდესაც რუსეთის პრეზიდენტი ხოტბას შეასხამს სახელმწიფო მდივანს გამძლეობას, მსოფლიო მშვიდობის განსამტკიცებლად — ქვეყნიდან ქვეყანაში სიარულისთვის, თან იმასაც დაამატებს, რომ მას (ქერის) დასვენება და გამოძინება სჭირდება, უდავოდ იფიქრებთ არათუ ორთა შორის სამშლიანი სქელი პოლიტიკური ყინულის დნობაზე, არამედ პრაგმატულ თანამშრომლობაზეც, მაგრამ არა. პოლიტიკაში, განსაკუთრებით დიდში, პოლიტიკოს-მსახიობების ისეთი სიუხვეა, ძნელი გასარჩევია, სად არის სინამდვილე და სად არტისტული თამაში.

ტელევიზორული გამჟღავნების წინ პოლიტიკოს-არტისტები მოზომილად, მოკრძალებულად, ზრდილობიანად იქცევიან (არა ისე, როგორც უკრაინაში). მათი თითოეული ყესტი — კონტროლს დაქვემდებარებული, წინასწარ დამუშავებულია. მათი გამომეტყველება — შენიღბული, ფარისევული, ხელოვნური ლიმილით, ზოგ შემთხვევაში სიცილითაც კი, რომელიც უმალ იცვლება მოსალაპარაკებელ მაგიდასთან მისხდომისთანავე, დარბაზიდან ყურნალისტების დათხოვნასთან ერთად. და იწყება მხარეთა შორის ლაპარაკი, ხშირ შემთხვევაში მძიმე, საკუთარი პოზიციების დაფიქსირებით, საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის ბრძოლით, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდება იმ საერთო სურათიდან, რასაც თვალი მოგვკარით ტელევიკრანზე — მოლაპარაკების დანკებამდე.

პრეზიდენტ პუტინსა და სახელმწიფო მდივან ქერის შორის მოლაპარაკება სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა და ბევრ საკითხში კონსენსუსით დასრულდა, რამაც გაეროს უშიშროების საბჭოს, რეზოლუციის მიღების საშუალება მისცა. საკითხი სირიას ეხებოდა და იქ არსებული ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებას. უშიშროების საბჭომ დაგმო ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება, რითაც პრობლემები შეუქმნა იმათ, ვინც დღემდე იყო ამ მართლაც ბინძური საქმით დაკავებული.

მოსკოვის სამსაბათიანმა მოლაპარაკებამ ამ საკითხში წარმატებას მიაღწია, მაგრამ არა იმაში, რასაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა გამოსწორება ჰქვია. ურთიერთობები კი სახელმწიფო ინტერესებს უკავშირდება, რაც თავისთავად მოითხოვს ყოველივე იმის შეცვლას, რაც ესოდენ ენერგიული შრომით შექმნა აშშ-ის ადმინისტრაციამ ბოლო სამი წლის განმავლობაში. რატომ მაინც დამინც აშშ-ის ადმინისტრაციამ დიდი კრებლმა? — უპირველესად იმიტომ, რომ კავშირების გაუარესებაში სწორედ ამერიკას მიუძღვის ბრალი და არა რუსეთს.

გაუარესება ნიშნავს ეკონომიკურ სანქციებს, მიღებულს ვაშინგტონში და მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ამერიკული სანქციები, მარტო ამერიკული არ არის, მას ფართო მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან, ამერიკელთა დაძალებით, ანალოგიურს მიმართავენ მოკავშირე ქვეყნებიც, განსაკუთრებით ევროკავშირი. ქერი, დაბრუნებულიც არ იყო სამშობლოში, რომ ვაშინგტონმა ახალი სანქციებით „დააჯილდოვა“ რუსეთი. უკეთეს საახალწლო საჩუქარს ვერ ინატრებდა კრემლი. ვაშინგტონის გადას ყვეტელების უმად მომპყვე ევროკავშირის გადას ყვეტელებაც — სანქციების ვადის 6 თვით გაგრძელების თაობაზე.

რუსეთი გულსტკივილით შეხვდა ახალ სანქციებს, თუმცა გრძობდა, რომ ეს ასეც მოხდებოდა. „ასიამოვნო“ ამბის მომტანი აშშ-ის დივერსიული ბაიდენი იყო, რომელმაც მოსკოვის მოლაპარაკებამდე, კვიცი ჩასულმა, გალანძღა რუსეთი და დასასჯელად სანქციების ახალი ტალღით დაემუქრა მას.

მაინც რისთვის სჯიან რუსეთს? პასუხი ამ კითხვაზე მარტივია — იმისთვის, რომ ის რუსეთია; რომ ამ ქვეყანას განსხვავებული აზრი აქვს; რომ მისი პოლიტიკა უამრავ საკითხში არ ემთხვევა ამერიკულს. და რასანასევა, ის უნდა დაისჯოს. საშუალო დემოკრატია — დემოკრატია ამერიკულად, რომელიც სიტყვის შებრუნებასაც ვერ იტანს, არათუ სა-

წინააღმდეგო მოქმედებას. ამერიკული „დემოკრატია“ გულსისხმობს მხოლოდ იმის კეთებას, რასაც ვაშინგტონი გიკარნახებს. ისე უნდა იცნორო, როგორც ამერიკას სურს. ისე უნდა ქამო, სვა და ჩაიცვა, როგორც ამერიკას უნდა. იმასთან უნდა იმეგობრო, ვისთანაც ვაშინგტონი დაგრთავს ნებას.

მსგავსი „დემოკრატია“ არაერთი მაგალითი იწვინა „ბედნიერმა“ საქართველომ ბოლო 25 წლის განმავლობაში და უფრო მეტს იწვენეს, თუ ამერიკული სიზმრიდან დროულოდ არ გამოფხიზლდება.

საქართველოს პოლიტიკას ვერაფრით დაარქმევთ დამოუკიდებელს. მას ამის არავითარი ნიშანწყალი არ გააჩნია, რაც უპირველესად თვით ქართველთა იმ თაობის ბრალია, ვინც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დანკებული, დღემდე მოდის. შემდეგ, დიდი ქვეყნის, „სტრატეგიულ პარტნიორად“ რომ მოვიხსენიებთ. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ერმა ისე „თავგამოდებით“ იღვანა, რომ სრულ დამოკიდებულებაში ამოჰყო თავი, თანაც ისეთში, რომლისგანაც დასნას არაერთი რეჟიმისა და დასჯილი დედა არ სწორედ ასეთ სახელმწიფოდ ყოფნა არ ისურვა რუსეთმა და ამიტომაც „დაჯილდოვ-

ვლით, იმის თქმაც არ შეუძლია, თანხმობა განცხადოს რუსეთთან მოლაპარაკებაზე, ოფიციალური ვაშინგტონის დასტურის გარეშე. ჩვენს ხელისუფლებას ისიც არ შეუძლია, თავისი სიტყვა თქვას ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სირიაში მიმდინარე პროცესებისადმი. ჩვენს ხელისუფლებას ვერაფერი უთქვამს, არა მარტო აშშ-ის, არამედ თურქეთის პოლიტიკაში. სირიაში მიმართებაში თურქეთის პოლიტიკა ისეთია, ჩვენგან რომ მუდმივ ყურადღებას მოითხოვს, ვინაიდან იქ გადადგმული თურქული ნაბიჯი, სხვაგვარად შეიძლება ჩვენსკენაც გადადმოედგას. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად განაპირობებს სირიის, როგორც სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნიდან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება უდავოდ დაუკავშირდება სირიის მომავალი ხელისუფლების და თურქეთის მთავრობის მოქმედებას.

ბოლო 20 წლის განმავლობაში თურქეთი ახორციელებდა ამბიციურ ენერგეტიკულ პროგრამას. მის ტერიტორიაზე გავიდა ახალი მილსადენები. თურქეთის ხელისუფლების მიზანი იყო და არის ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნად გადაქცევა. ამ ამბიციურ

ენ. მოკავშირეების ზენოლას და პროექტის გადახვევას მიჰყო ხელი. რუსეთი კი გულუბრყვილოდ თვლიდა, რომ დასავლეთისთვის ჯილუტი ერდოღანი, რუსეთთან საქმიან ენერგომატარებელში ჩაერთვებოდა.

არ გამოვიდა. ნაცვლად ამისა, ანკარამ ბაქოსთან მოანერა ხელი ტრანსანატოლიურ მარშრუტზე, რომელმაც აზერბაიჯანული გაზი ევროპაში უნდა შეიტანოს. თუ ეს პროექტი განხორციელდა, ის 2019 წლისთვის ამოქმედდება, მაგრამ ამ პროექტს ერთი პრობლემა აქვს — ევროპისთვის აზერბაიჯანული გაზის სიმცირე. სწორედ ამან გამოიწვია ანკარის ყურადღების ყატარისკენ გადატანა.

თურქეთს სურდა ყატარის გაზის საკუთარ ტერიტორიაზე, საუდის არაბეთის გავლით, შეტანა. მოლაპარაკება გაზსადენის მშენებლობის თაობაზე ყატარსა და თურქეთს შორის 2009 წელს გაიმართა. მარშრუტი ასეთი იყო: ყატარი, საუდის არაბეთი, იორდანია, სირია, თურქეთი და ევროპა. ამ პროექტს ნეგატიურად აფასებს ოფიციალური დამსკო, ვინაიდან მისი აზრით, მას მოჰყვება თურქეთის პოლიტიკური დომინირება რეგიონში, რაც არ არის გამორიცხვადი, ვინაიდან გაზსადენის ონკანი მხოლოდ მის ხელში იქნება.

სირიის პრეზიდენტს გაცილებით მეტად ხიბლავდა ირანული გაზსადენის პროექტი, რომელიც გაიხსნა რა ერაციის ტერიტორიაზე, შევიდოდა სირიაში, ხოლო იქიდან ევროპის ქვეყნებში. სამთა მეორადღუმს ხელი 2011 წელს მოეწერა. გაზსადენს წლიურად 40 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა გაეტარებინა. გაზსადენის მშენებლობის დასრულება 2016 წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ჩაიშალა სირიის კონფლიქტის გამო, რაც უმთავრესად გამომწვეული იყო ყატარის გაზზე, სირიის პრეზიდენტის უარით და ირანის გაზისთვის მხარდაჭერით.

პროექტების ომში აშშ იყო ჩართული, რომელიც ცხადია „მომქე“ ყატარის პროექტს უჭერდა მხარს, ისე, როგორც საუდის არაბეთი, იორდანია, ევროკავშირი. როგორც აღვნიშნე, ეს პროექტი რუსული გაზის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ირანულ პროექტს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა თურქეთი, უპირველესად პოლიტიკური მოსაზრებით. ამ პროექტის განხორციელება გააძლიერებდა ირანის გავლენას რეგიონში, რაც ამბიციური თურქეთისთვის მიუღებელი იყო. თურქეთი იღებს ირანულ გაზს — წლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრის ოდენობით და არ ზრდის მას, იმავე მოსაზრებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერაციის უარყოფითი პოზიცია ანკარის მიმართ. ერაცი არ მოსწონს მის ტერიტორიაზე არსებული ქურთების ავტონომიასთან დაკავშირებული პირდაპირი გარიგება, ოფიციალური ბადადის გარეშე. ირანი, ერაცი და სირია ერთად შეკრული მოკავშირეები არიან და ამდენად მათი პოზიცია მიუღებელია თურქეთისთვის, ისე როგორც ვაშინგტონისთვის.

მაგრამ აქ მარტო გაზსადენის პროექტების ომთან არ გვაქვს საქმე, სადაც სირიას სატრანზიტო პოზიცია უკავია, აქ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი იწვევს წინა პლანზე — სირიის ნაპირებთან, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით გაზის დიდი მარაგების აღმოჩენა — სპეციალისტების მონაცემებით 3,5 ტრილიონი კუბური მეტრის და ნავთობის — 2 მილიარდი ბარელის ოდენობით. გეოლოგიური სამუშაოები ომამდე განხორციელდა. სწორედ ამ ინფორმაციის გავრცელებამ გამოიწვია ის, რაც დღეს სირიაში ხდება.

როგორია რუსეთის პოზიცია აღნიშნულ პროექტთან მიმართებაში? ცხადია, ნეგატიური. რუსეთი სირიაში არა მარტო ტერიტორიის ებრძვის, არამედ ეხმარება პრეზიდენტ ასადს პოზიციების განმტკიცებაში, რაც ხელს შეუშლის არსებული პროექტების განხორციელებას და ევროპისკენ მიმავალი რუსული გაზის უალტერნატივობის მყარ გარანტიას შექმნის.

აშშ და ევროკავშირი რომ დაბეჯითებით ითხოვენ ბაშარ ასადის გადადგომას, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ გული ეთუთქებათ ბაშარ ასადის მიერ სირიელთა „დამოკიდის“ გამო. მიზანი ანტირუსული პოლიტიკა და რუსული გაზის განდევნა ევროპიდან. სამწუხაროა, რომ ამ პოლიტიკურ თამაშში, ანკარამ ვაშინგტონ-ბრიუსელი აირჩია, რაც თავიდანვე იყო მოსალოდნელი, მაგრამ რატომღაც კრემლმა თავისი გულუბრყვილობით სხვაგვარად მიიჩნია.

კამილ შივაშვილი, პოლიტიკოლოგი.

პროექტების ომი



და“ ეკონომიკური სანქციებით, სხვა „საჩუქრებით“, მათ შორის ევროპაში განლაგებული ანტისარაკეტო სისტემებით, რომელსაც თავდაცვითი ფუნქციის გარდა, თავდასხმითიც ახასიათებს და წაუთში შეუძლია გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს რუსეთს. არადა, 6 წლის წინათ, თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში, ობამამ შეაჩერა წინამორბედ ბუშის ანტისარაკეტო პროგრამა. რამდენად გულწრფელი იყო ახლად არჩეული პრეზიდენტი ობამა თავის გადაწყვეტილებაში, ძნელი დასადგენია, ვინაიდან 6 წლის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება, სანინააღმდეგო გოზე მტყვევებმა. ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეჩერებულა ამ საკითხზე მსჯელობა. ვაშინგტონი ხშირად იყენებდა მას რუსეთთან სავაჭრო თემად, იმავდროულად ყველაფერს აკეთებდა აღნიშნული სისტემის დასახვედრად.

მსგავს ვითარებას ვაწყდებით დღესაც. ვაშინგტონი ლაპარაკობს მოსკოვთან სირიასთან მიმართებაში, მაგრამ არ იცნავენს მთავარს — ბაშარ ასადის განდევნას. ამ საკითხში მან ვერაფრით გატეხა რუსეთის პოზიცია. ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ ტერორიზმის დამარცხების შემდეგ გამართულმა საყოველთაო არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება სირიის სათავეში და არა ვიღაცამ — სირიის გარეთ.

ვაშინგტონი ურცხვად, „დემოკრატიულად“ აცხადებს, რომ მას უფლება აქვს თავისი წვლილი შეიტანოს ამა თუ იმ ქვეყნის ხელი-სუფილის დანახვაში. დემოკრატია მას ჰქვია. განა ჩვენთვის უცნობია აშშ-ის ეს პოზიცია? განა ჩვენ საკუთარ თავზე არ გამოვცადეთ ამერიკელთა მხრიდან საქართველოს ხელისუფალთა შერჩევა? განა ჩვენი „საყვარელი“ თინკო ამერიკელებმა არ შემოგვტყვენს?

აი, ეს არის ამერიკული „დემოკრატია“, რომელსაც, ხბოს ალტაცებული თვალებით მზერა არ უხდება. ის სხვა მზერას, მეტადრე კრიტიკულს იმსახურებს. მაგრამ აქვს საზოგადოებას კრიტიკული მზერის თავი?

ჩვენს საზოგადოებას, ხელისუფალთა ჩათ-

პროექტში თურქეთი მუდამ გრძობდა ვაშინგტონის მხარდაჭერას, რომლის მთავარი მიზანი იყო და არის რუსული ენერგომატარებლებისთვის პრობლემების შექმნა, მათი ევროპის ბაზრიდან განდევნა. თურქულ-ამერიკულ გარიგებას ხელი არ შეუშლია რუსულ-თურქული „ცისფერი ნაკადისთვის“, რომელმაც საგრძნობი ეკონომიკური მოგება მოუტანა ორივე ქვეყანას.

ახალი საუკუნე, ახალი პრობლემებითა და მოჭარბებული კონკურენციით დაიწყო რუსეთსა და ევროკავშირს შორის. ჯერ იყო და „ნაბუკოს“ პროექტმა გამოიწვია დიდი აჟიოტაჟი, შემდეგ სხვა პროექტებმაც. ყველა მათგანის მიზანი იყო ერთი — კასპის ზღვის ენერგომატარებლების რუსეთის გვერდის ავლით, ევროპაში ტრანსპორტირება და, რაც მთავარია, რუსეთის გაზისთვის კონკურენციის განწევა.

„ნაბუკოსა“ და სხვა პროექტებს უმთავრესად პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ყველა ამ პროექტში თურქეთი იღებდა მონაწილეობას, არანაკლებად საქართველოც. არ გამოვიდა. ამასობაში რუსეთმა ევროკავშირს „სამხრეთის ნაკადის“ პროექტიც შესთავაზა, რომელიც ნეგატიურად შეაფასა ამერიკა-ევროპამ, მაგრამ ამით რუსეთი არ შეჩერებულა. მან საერთო ენა გამოიწვია თურქეთთან. „სამხრეთის ნაკადის“ განხორციელება თურქეთს, ლამის რუსული გაზის მთავარ გამანაწილებლად აქცევდა. მას შეეძლო საკუთარი პირობების დაყენება, როგორც მოსკოვის, ისე ბრიუსელის წინაშე. მაგრამ...

თურქეთმა სხვა გზა აირჩია — დასავლეთის და რუსული გაზის ევროპაში შეტანის შეზღუდვის. ეს „გზა“ ითვალისწინებს რუსული გაზის ერთ მარშრუტს — უკრაინულს — პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნის — მუდამ არამგრადის.

„სამხრეთის ნაკადი“ — ესოდენ საინტერესო და დიდი ეკონომიკური წარმატების მომტანი თურქეთისთვის — სერიოზული კრიტიკის და მუქარის საგნად იქცა ვაშინგტონსა და ბრიუსელში. ნატოს წევრმა თურქეთმა და ევროკავშირის კართან მდგომმა, ვერ გაუძლო



„ბაბ, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველს? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს სხვა სახატრული, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანეთა ვთქვათ: „ჰოი, წამო სხარულისა, ესე სწრაფად სად წახვედი“ წინ ვივყურებით და სხვალნი დღეის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სხარულისაო“ რა გითხრა? რით გაგახაროთ?“

ეს არის პირველი აბზაცი 1887 წლის 31 დეკემბრის დიდი ილიას მიერ შექმნილი ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილიდან „რა გითხრა? რით გაგახაროთ?“, რომელიც ამ სახალწლოდ კიდევ ერთხელ გადავიკითხვოთ და თითქოს დღევანდელიაზე ლაპარაკობსო, ქართველთა ფიქრთა მკვრობელი – მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და დღესაც, „ხვალნი დღეის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს“...

თუმცა ასე არ ფიქრობენ ნაცებ-ქოცების ხელისუფლებამ (დიას, ნაცებ-ქოცების ხელისუფლებაში და არა, პოზიცია-ოპოზიციაში, რადგანაც დიდი ხანია ყველა მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ქართველისთვის, ერთი მეორის ჩაღვანა-ალხანები არიან) და ნატოს ქიშკრის სანაცვლოდ, ახლა ვიზალიბერალიზაციის ქიშკრის დევნას გვთავაზობენ...

გასულ ბარბარობას, რუსეთის პრეზიდენტის წინასახალწლო გრანდიოზული პრესკონფერენცია გაიმართა, რომელმაც ყველა წინა რეკორდი მოხსნა; მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან 1392 ჟურნალისტი, პოლიტოლოგი თუ ექსპერტი დაესწრო ამ ბრიფინგს, რომელზედაც სამსაათ-ნახევრის განმავლობაში 45 კითხვას უპასუხა ვლადიმერ პუტინმა...

ასეთ ღონისძიებებზე შემთხვევით არაფერი ხდება, ყოველი წვრილმან-მსხვილმანი გარკვეულ მესიჯებს შეიცავს მავან სახელმწიფოთა მიმართ!

მავანებმა თავის თავს მიხედონ და ჩვენ, ჩვენი ვიკითხოთ...

ჩვენდამი კეთილგანწყობის წვრილმან დეტალად აღიქვა ყველამ, ვისაც საქართველოში თვალყური ახსია ის, რომ დამსწრეთა გასამასპინძლებელი ე.წ. ალაფურ შეტი, იმერული-მეგრული ხაჭაპურებით იყო განწყობილი.

ხოლო ის, რომ მილეთის მედია-წარმომადგენლებში, ტელეკომპანია „მეგობროს“ ჟურნალისტსაც ერგო პატივი კითხვის დასმისა, პუტინის „მსხვილმანი“ პასუხიც იქით იყოს, ასეთ პატივს წვრილმან ნამდვილად ვერ უნოდებ! პასუხი კი მოკლედ და კატა-ლეოპოლდის ენით თუ ვიტყვი, ეს მერამდენედ „რეზიბატა, დავაიტე ჟიტ დრუჟნიო“, იყო.

ხოლო უფრო ვრცლად, რუსეთის პრეზიდენტმა, „უვიზო რეჟიმის აღსადგენად მზად ვართ, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, აფხაზებს და ოსებს თავად ელაპარაკეთ, მათთან იმუშავეთ, რუსეთისთვის ამ მოლაპარაკებების ნებისმიერი შედეგი მისაღები იქნებაო“...

ერთ რამეში არ ვეთანხმები პუტინს - სააკაშვილის ოდეზის გუბერნატორად დანიშნა არა მხოლოდ უკრაინელიებისთვის იყო, „პლევოკ ვ ლიცო“, არამედ პირველ რიგში, ამ და სისხლის სამართლის დამნაშავე სხვა ქართველების დანიშნებით უკრაინამ (წაიკითხე, აშშ-მა) უპირველეს ყოვლისა, ქართველებს ჩაგვაფურთხა სულში!

ისე კი, საქართველოსთვის ამაზე მეტად მიეღის მომცემი რა უნდა ეთქვა ვლადიმერ პუტინს?

მაგრამ არა, პასუხად იმავე დღეს აღწავლდნენ სულგაყიდული ქართველი პოლიტიკოსები თუ ამერიკიდან უხვად ფინანსირებული ასოები (არასამთავრობოები) – ხვალ ევროპა ვიზალიბერალიზაციას მიანიჭებს საქართველოს, ზეგ ევროკავშირში მიგვიღებენ და ამით შეშინებული პუტინი ამიტომ ალაპარაკდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზეო?!

ამაზე მეტი უგუნურება გააკონილა? თუმცა არა, ეს უგუნურება კი არა, სავსებით გონიერი მტრობაა საქართველოსკენ!

ვის ვისი ეშინია კარგად ვხედავთ – რუსეთში ვერაფრით მოახერხეს ფერადი რევოლუციის მოწყობა, რადგან პუტინის ხელისუფლებამ დროულად ალაგმა რუსეთის „ასოების“, იგივე მეხუთე კოლონის უკონტროლო პარპაში;

ქვეყნიდან უბოდიშოდ გააძევა ამ „ასოთა“ დამფინანსებელი სოროსის ფონდი;

შარშან, რუსეთის წინააღმდეგ დანესებული ეკონომიკური სანქციების იმედად, არიქა, რუსები ქუჩაში გამოვლენ და თავად დაამხოვენ პუტინის „დექტატურასო“, აშშ-მა საკუთარი სატელიტი ევროპის ლიდერებს პუტინისთვის ხელის ჩამორთმევაც კი აუკრძალა, მაგრამ დღეს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ამერიკის დაუკონტაზად დაინყო სირიაში ტერორიზმთან რეალური ბრძოლა გამეფიციდან, წყლიდან, წყალქვეშაშიდან თუ ჰაერიდან გაშვებული ფრთოსანი რაკეტებით დაზარალებული დასავლეთის ლიდერები ერთმანეთს ასწრებენ კრემლში მისვლას.

თვით აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ ისე შეიტყუტრუა, ადგილზე ისე შემოზრიალდა, მგონი პუტინი შემოვიდა, რომ მსგავსი სისხარტე სუხიშვილების ანსამბლის „ტრუკაჩემსაც“ კი შემურდებოდა.

ხოლო, როდესაც პუტინი მართლაც შემოვიდა, მოლაპარაკებების შემდეგ, ჯონ ქერი ბავშვივით იყო გახარებული – პუტინს რომ შევივლე, თქვენი ავიაცია ასადის ოპოზიციასაც ბომბავსო, ეს „საჩივარი“ რუსეთის პრეზიდენტმა უბის წიგნაკში ჩაინერაო...

ბრიფინგის მეორე დღეს ხომ საერთოდ, არიქა, ევროპამ

გვითხრა, რომ საქართველო იმსახურებს უვიზო მიმოსვლას და ერთი ვასვასი ატყდა ქოცებ-ნაცების ხელი-სუფლებასი:

პრემიერმა ღარიბაშვილმა, ზუსტად 5 საათზე, იმედის „ქრონიკის“ დანყების დროს დანიშნულ ბრიფინგზე პათეტიკურად განაცხადა, რომ თურმე ასრულებულა წინაპართა ოცნება (ჰო, რა, ჩვენს მამა-პაპათ ვიზალიბერალიზაციის ჯაფრი ჩაჰყვათ საფლავში) და მას შემდეგ გრძელდება ეს უგვიანო მილოცვები ამ სახალწლოდ...

ბარემ გავაუქმოთ ახალი წელი, შობა თუ აღდგომა და დღესასწაულთა დღესასწაულად 18 დეკემბერი დავთქვათ, დღე ვიზალიბერაციის დაპირებისა?!

არადა რას გვილოცავენ ჩვენ, რიგით ქართველებს? „მომლოცვეები“ აქამდეც მშვენივრად დასეირნობდნენ ევროპა-ამერიკაში და უბრალო ქართველი, ვიზით იქნება თუ უვიზოდ, ევროპელი თუ ამერიკელი, უკაცრავად და, კუანა ბებრების უკანალების საწმენდად თუ წაწვინ!

ეგვიც არ იყოს, ჯერ ევროპაში უვიზო მიმოსვლამდე კიდევ ბევრი „საშინაო დავალება“ შესასრულებელი და ვეჭვობ, რომ ეს დავალება გეიპარადების ჩატარება და ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება იქნება...

თუმცა ამას თუ ავცდი ამ ეტაპზე, როგორც მინიმუმ, ნატოს ზღაპრიდან გამომდინარე, ახლა უვიზო რეჟიმზე დაინყება, დღეს არა, ხვალ, ხვალ არა ზეგ, ანუ, როგორც ნატოში მიგვიღებენ როდინობის კვირის შვიდშაბათს, ასევე იქნება ვიზალიბერალიზაციის საქმეც. რაც

შიშვრიდან შიშვრად



შეეხება ევროკავშირს, ამაზე ლაპარაკიც კი უნამუსობაა!

რომელ ევროკავშირში განვირინებით გვაბოლებენ, რომელიც პრაქტიკულად დაშლის პირასაა მისული?

სხვა რა ჰქვია იმას, რომ შენგენის სივრცეშიც კი, არა თუ ევროკავშირის არანევი ქვეყნების მოქალაქეთათვის, თვით შენგენის ქვეყნების მოქალაქეთათვისაც შეზღუდულია გადაადგილების თავისუფლება?!

თუმცა, ეგვიც არ იყოს, ტერორიზმის შიშით აკანკალებული ევროპა პანკისის პატრონი საქართველოთი აიტკივებს ისედაც შაკიკიან თავს?

რუსეთი კი უახლოეს პერიოდში, პუტინის კალმის ერთი მოსმით გაუქმებს საქართველოსთან სავიზო რეჟიმს, დავუშვათ, ჩემი სვეცისი არ გამართლდა და ევროპამაც რუსეთის პარალელურად მოგვცა უვიზო რეჟიმი:

საით უფრო მეტი ქართველი წავა, რუსეთში თუ ევროპაში?

ამ კითხვის პასუხად ქვემოთ ვრცელ ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ, რომელსაც ასე დავაქვსათაურებ:

შაში არს მტარი ბაშულის, მიხვთი ლახვარსა ლუსულსა!

ზუსტად ასეა ნათქვამი გივი ამილახვრის აღსარებაში, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა ქურნალ, „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებანი“-ში დასაბუქდა და წერა და რაც შეთქმულების აჯანყებაში გადარდის შემთხვევაში აჯანყებულთა დევიზი, გნებათ, მთავარი ლოზუნგი გახდებოდა.

ქურნალი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ფარული ბეჭდვით ორგანო იყო, შეთქმულებთან ერთად „დააპატიმრეს“. როდესაცის არქივში, რომელიც დაპატიმრებისას სოლომონ დოდაშვილს ჩამოართვეს, ერთი ანონიმური ლექსიც აღმოჩნდა, რომელსაც მკვლევარნი იოანე ბატონიშვილს მიაწერენ, მასში იმდროინდელი საქართველოს ვითარება ასეა დახატული:

„სკვით წავგართვს მთლად ქვეყანა, არც კი მოგვცეს კაცი ერთი; ქართლ-კახეთსა არ დააჟვრდნენ, ზედ დაიდგეს იმერთი. მწირობაში დავგლახავდი, შემწე არ გვყავს არცა ერთი, შევთხოვთ ზენას სამართალსა, ვნახოთ ვითა განჯჯის ღმერთი.“

თი, შევთხოვთ ზენას სამართალსა, ვნახოთ ვითა განჯჯის ღმერთი“.

ზენამ კი ისე განსაჯა, რომ შეთქმულება იესე ფალანგანდშიშვილის ლალატით გამოაშკარავდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეამ დროებით, მაგრამ კაი ხნით ადგილი დაუთმო რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის ფიზიკურად გამრავლების, განათლების, კულტურის აღორძინების, იმდროინდელი მოწინავე ტექნოლოგიების ათვისების და სხვა, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანებს!

მართლაც, რუსულ ხიშტებზე უსაზმანოდ შეწყდომამზე გონივრული უარის სანაცვლოდ, ქართველმა ერმა ელემენტარულად, წერა-კითხვა ისწავლა, ხოლო მისი უკეთესი შვილები პეტერბურგ-მოსკოვ-კიევი-ოდესის გავლით ევროპის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებშიც ეზიარნენ უმაღლეს განათლებას.

მიხეილ ვორონცოვის რუდუნებით დაარსდა პირველი ქართული გაზეთები, თეატრი, ოპერა; სწორედ პეტერბურგიდან მოზრუნებულმა ე.წ. თერგდალეულებმა, დიდი ილიას მეთაურობით, შექმნეს ახალი ქართული მწერლობა; განვითარდა ვაჭრობა, მრეწველობა, ტფილისი გახდა სრულიად კავკასიის უმთავრესი ქალაქი, და რაც უმთავრესია, ქართველი ერის ფიზიკური განადგურების საფრთხის გადაურჩა – XIX საუკუნის დამდეგს, ანუ, რუსეთთან შეერთებისას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა სულ რაღაც 70 ათას (!) ოჯახს (დემოგრაფ ანზორ თოთაძის მონაცემებით) ითვლიდა, ხოლო XIX საუკუნის

მინურულს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობამ 1.5 მილიონს გადააჭარბა!..

„სწრაფად განვითარდა ხელოსნობა, გაჩნდნენ კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურები: აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის, აგურის საწარმოები. 1852 წლისთვის მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 154 საწარმო არსებობდა, ხოლო 10 წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 400 (!) გადააჭარბა. თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაჩნდა ბაზრობები, ე.წ. იარმარკები; თბილისელი ვაჭრები მომრავლდნენ ნიჭი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, საიდანაც უპირატესად შემოქონდნენ ბამბის, სელის, შალის, აბრეშუმის ქსოვილები, რკინისა და ფაიფურის ნაწარმი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვა. თბილისელ ვაჭრებს ნაირ-ნაირი საქონელი გაჰქონდათ რუსეთში და იმპერიის საზღვარგარეთ. ნოვგოროდის 1850 წლის იარმარკაზე თბილისელ ვაჭრებს 1.195019 მანეთის საქონელი ჩაუტანიათ. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის დიდი რაოდენობა გაჰქონდათ ინგლისში და ირლანდიაშიც კი.“

ეს ყველაფერი აკაკი და პაატა სურგულაძეების ავტორებით გამოცემულ, 1783-1990 წლების საქართველოს ისტორიიდან“ ამოვწერე და ნატოს ქიშკრით, ევროპასთან ასოცირების და ახლა უკვე ე.წ. ვიზალიბერალიზაციის ცრუ პერსპექტივებით გონდაბნელებულთა საყურადღებოდ რამდენიმე კითხვას დავსვამ:

იცით თუ არა, რამდენი ევროს ეკვივალენთია დღეს მაშინდელი „მილიონჩემტო“ ოქროს რუსული რუბლი. რისი ღირებულების საქონელიც, საქართველოს რუსეთთან „ძალით“ შეერთებიდან სულ რაღაც 50 წლის შემდეგ შეუტანიათ თბილისელ ვაჭრებს ნოვგოროდის ბაზრობაზე და როდეს, ევროპის ასოცირებასთან „ნებაყოფლობით“ მიერთებიდან რამდენი წლის შემდეგ გაიტანს საქართველო მილიარდობით ევროს ღირებულების საქონელს ევროკავშირის ქვეყნებში.

ეს ისე, მცირე ლირიკულ-რიტორიკული გადახვევა... ახლა მავანი დამამუწნათებს, რუსეთმა გააუქმა ბაგრატიონთა სამეფო ტახტი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, კირით შეგვითეთრეს ფრესკები, ქართველთა გარუსება მოინდომეს და ა.შ. სხვა მრავალი ვნება მოგვაყენეს ჯერ რომანოვიებს და შემდეგ სტალინის იმპერიაში 200 წლის მანძილზე და მერე რა?

ეს ყველაფერი ჩემს შესაძლო ოპონენტებზე კარგად იცოდნენ მაშინ მოღვაწე საქართველოს გამორჩეულმა შეილებმა, მაგრამ..

პირუთვნელმა ისტორიკოსებმა მე-19 საუკუნის დასაწყისი მაინც უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნიეს ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში, რადგან ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის ბედი მტკიცედ დაუკავშირდა რუსი ხალხის ბედს.

ქართველი ხალხის ფიქრთა მკვრობელმა ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში, „ასის წლის წინათ“, რომელიც 1899 წლის 26 ნოემბერს დაწერა და საქართველოში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა. რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა შემდეგი სიტყვებით გადმოსცა:

„დამშვიდება დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღაღული ქვეყანა, დაწყნდება აკლებიანა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჭეღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გააქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და

პბუგაფა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რევეა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-ლა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშინარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფ-

მიტაცებული ჩვენი ტერიტორიები — უპირველეს მეგობრად. ქვეყანას, რომლის ეკონომიკური ანექსია უკვე თბილისშიც და განსაკუთრებით აჭარაშია თვალნათელი. სახელმწიფო, რომლის პრემიერ-მინისტრი დავიდოლო პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთის საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურქანის იმპერიის აღდგენაა, სტამბოლიდან, ბათუმი — სარაევომდე, რისთვისაც გლობალიზაციის პირობებში სულაც არ არის საჭირო ტანკები და ბომბები — ეკონომიკურ ექსპანსიაზე უკვე მოგახსენეთ და საქართველოს ტელევიზიებში საექვოდ მომრავლებული თურქული სერიალები ამ პროცესის პროპაგანდისტული შემადგენელია.



ანუ, ..რა გითხრათ? რით გაბახაროთ?

ლაოდ არ გადაეცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწეოდ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო ისოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდგა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღე და ეს დღე, ველარაგინ გადმოვლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“...

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ მთიულეთის, კახეთის, იმერეთის აჯანყებების თუ იგივე 1832 წლის შეთქმულთა საბოლოო მიზანი იყო რუსეთთან არა ყველანაირი კავშირების განწყვეტა, არამედ გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე აღდგენა სამეფო ტახტისა და ზოგადად შიდა ავტონომიური მმართველობისა, რადგანაც კარგად ხედავდნენ, რომ ლამის ალექსანდრე პირველის მანიფესტის გამოცხადებისთანავე საქართველოში აილაგმა ლეკიანობა და ისლამის ოკეანეში კვლავ აღმოჩენის პერსპექტივა არავის ხიბლავდა...

XX საუკუნის დასაწყისში კი, რუსეთის დუმის დეპუტატი, თავადი ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის შიგნით ითხოვდა საქართველოს კულტურულ ავტონომიას. ეგ იყო და ეგ, რადგანაც ილია მართლაც კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ძლიერი შემწე-მფარველის გარეშე გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად არსებობა, საკუთარი ისტორიული მეს შენარჩუნება!

დიდი ილიას შიშები რომ უსაფუძვლო არ იყო, დღეს გამოჩნდა — ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ სამშობლოს გვართმევენ!

რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო...

პარადოქსია ისიც, რომ ქვეყნის „მთავარი ოპოზიციური ძალა“ ნაცბანდა, ნიადგა ამუნათებს მეოცნებე ხელისუფლებას, რომ ისინი პრორუსულები არიან, პუტინის თამაშს თამაშობენ და ა.შ. ეს უკანასკნელი კი ხელებს ასავსავებენ, ლამის ბარაკ ობამას დედის სულს იფიცებენ, რის რუსეთი, რა პუტინი, პირდაპირ ევროკავშირ-ნატოსკენ გვიჭირავს გვიზიო!

ჰოდა, ნაცებ-ქოცების ამ შეხმატკბილებულ, კოჰაბიტაციიდან შობილ ვახვასში, ქვეყანა თავზე გვექცევა — აგერ თითქმის 3 წელიწადია საქართველო-რუსეთის „ახალი ურთიერთობები“ კარასინ-აბაშვილის ფორმატს და რუსეთის ბაზარზე „ორიოდე“ ბოთლი ქართული ღვინო-ბორჯომის შეტანას ვერ გასცილებია.

ამიტომაც არის, რომ რუსეთის მხრიდან ე.წ. მცოცავი ანექსია კონფლიქტის ზონაში გრძელდება და თუ ამჯერად ვიზალიბერალიზაციით დაბოლილები, უილაჯო „არა, არას“ არ მოვიშლით, ცოცვა-ხტუნვაში გადაიზრდება და მავთულხლართებს ჩქით ქუთაისთან, ხოლო აქეთ თბილისთან გადმოიტანენ!

ამ რეალობაში ქართველი ურაპატრიოტები „რკინისებური არგუმენტებით“ გვიპირისპირდებიან პრაგმატულად მოაზროვნეებს — თუ ერთმორწმუნეები არიან და ჩვენთან მეგობრობა უნდათ, დაგვიბრუნონ ჩვენი ტერიტორიების 22 % და ა.შ. სხვა მრავალი ლირიკული გადახვევები, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ მკაცრ პოლიტიკურ რეალობასთან!

ანუ, როგორც იტყვიან, მედალს მეორე მხარეც აქვს: რუსეთს, რომელსაც ისევ კრეტინი სააკაშვილის ავანტიურის შედეგად დროებითა აქვს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული, მხოლოდ მტრად განვიხილავთ, ხოლო მართლაც ისტორიულ მტერს, თურქეთს, რომელსაც სამუდამოდ აქვს

მიტაცებული ჩვენი ტერიტორიები — უპირველეს მეგობრად. ქვეყანას, რომლის ეკონომიკური ანექსია უკვე თბილისშიც და განსაკუთრებით აჭარაშია თვალნათელი. სახელმწიფო, რომლის პრემიერ-მინისტრი დავიდოლო პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთის საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურქანის იმპერიის აღდგენაა, სტამბოლიდან, ბათუმი — სარაევომდე, რისთვისაც გლობალიზაციის პირობებში სულაც არ არის საჭირო ტანკები და ბომბები — ეკონომიკურ ექსპანსიაზე უკვე მოგახსენეთ და საქართველოს ტელევიზიებში საექვოდ მომრავლებული თურქული სერიალები ამ პროცესის პროპაგანდისტული შემადგენელია.

თურქების მიერ ანექსირებულისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ოკუპირებულის დაბრუნების შანსი ჯერ კიდევ არსებობს და თუნდაც ამიტომ არ ვუნოდებ რუსეთს ოკუპანტს.

ეგეც არ იყო, და იქნებ ისიც დაგვეთვალა, რამდენი ტერიტორია დააბრუნა XIX საუკუნეში რუსულმა იარაღმა და ირან-ოსმალეთთან ომებში დაღვრილმა რუსულმა სისხლმა, ფორმალურად რუსეთის იმპერიის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში, რეალურად კი ერთიან ქართულენოვან კულტურულ სივრცეში. ტერიტორიები, რომლებიც XX საუკუნეში რომანოვების იმპერიის დამხობის შემდეგ უკვე ფორმალურადაც საქართველოს იურისდიქციაში მოექცა და ის, რომ მაშინ დამოუკიდებლობაც დაკარგეთ და ტერიტორიებიც, სტალინ-ორჯონიკიძეზე მეტად უნიათო მენეჯერების ბრალი იყო!..

იქნება ისიც გაგვეხსენებინა, როგორ განუცხადა მოკავშირეებს სტალინმა 1945 წლის იაღტის კონფერენციაზე, თურქეთმა უნდა დაუბრუნოს საქართველოს წართმეული ტერიტორიები — სიტყვას საქმეც მოაყოლა და სარფიდან ვიდრე ტრაპიზონამდე უკვე რაიკომის მდივნობის კანდიდატებსაც კი განიხილავდნენ პოლიტიბიუროში და რომ არა დღევანდელი ჩვენი „მეგობარი“ აშშ, რომელმაც სტალინის მადის მოსათოკად, მის დასაშინებლად, უკვე დამარცხებულ იაპონიას ატომური გენოციდი მოუწყო, ვინძლო დღეს ტრაპიზონში ყოფილიყო საქართველოს საზღვარი...

მაშ, ვინ არის „მტერი მამულის“ და ვინ უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“?

სწორი, თანმიმდევრული, და რაც უმთავრესია, გულწრფელი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, მით უმეტეს ერთმორწმუნის მოყვრად ქცევა ადვილი შესაძლებელია! უმადურობა დიდი ცოდვია, ხოლო ისტორიული უმადურობის ცოდვისთვის პასუხს მთელი ერი აგებს. ამიტომ, როდესაც რუსეთის მხრიდან ქართველების მიყენებულ ზიანზე ვლაპარაკობთ, არც რუსეთთან თანაცხოვრების სიკეთეები უნდა დავივიწყოთ!

მთავარი მტერი მამულის თავისუფლების ინსტიტუტი და მის ბაზაზე დაჩევილი გველის წინილები, ოკეანის გაღმიდან თუ ევროპიდან უხვად ფინანსირებული ასოები, მათი სკოლაგამოვლილი ლიბერასტი პოლიტიკოსები არიან, რომლებმაც რუსეთს ლამის საშვილიშვილოდ გადაგვიცადეს, რომლებიც ყოველგვარ ქართულს, მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს უკვე აშკარად ებრძვიან და სწორედ ისინი უნდა, მივცეთ მახვილსა ლესულსა“ და არა რუსეთი, რომელსაც მთელი მსოფლიო უკვე აშკარად ებრძვის!

ამ ომში საქართველოს ბედიც წყდება, მაგრამ არა ნაცური, არამედ კაცური გაგებით — საბოლოო ჯამში დღეს უღმერთობა ებრძვის ღმერთს, უზნეობა — ზნეობას, პედერასტობა — ვაჟკაცობას, ნორმალურობა, — არანორმალურს და ყველა ნორმალური ადამიანის სიმპათიები რუსეთის მხარეს იხრება!

მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე არ არსებობს ძლიერი, ე.წ. რუსული ლობი და ეს, უწინარესად, თავად რუსეთის ბრალია, რომელიც სერიოზულ კაპიტალს არ დებს ქართულ პოლიტიკაში და რასაც დებს, ისეთ ოდიოზურ პროვინციებზე გავლით, რომ პრორუსულობის იდეა თავშივეა დისკრედიტებული.

ამიტომაც, რომ ქართულ რეალ-პოლიტიკაში შესასვლელი საში იმაზე გადის, როგორ გააღმერთებ ამერიკას და, შესაბამისად, როგორ აგინებ რუსეთს!

არადა, თუნდაც მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთთან ერთ სახლში 2 საუკუნე ვიცხოვრეთ, აბსოლუტურად ნორმალურია, რომ ყოველგვარი „პროვინცია“ გარეშე საქართველოში არსებობდეს ქართული, ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული პარტია, რომელიც საქართველოს მომავალს რუსეთის დაუკავშირებდა და ამის გამო მოლაღატედ არ შეარაცხავდნენ.

აი, ეს კი იმის ბრალია, რომ საქართველოში დღემდე არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც პირდაპირ, ყოველგვარი რევერანსების გარეშე დასავლეთის თუ ადგილობრივი ლიბერასტების მიმართ გაბედავდა და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა...

ჰოდა, მე ვბედავ...

მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საქართველოს მომავალი განვითარება, მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა! მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ მართლმადიდებლობის გამარჯვებას და, აქედან, მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საკუთარი იდენტობის გადარჩენა!

რუსეთთან ერთად მიჩანს, რომ სახელმწიფოც მქონდეს და სამშობლოც!
დავით მხეიძე



დედაქალაქი

დღესასწაულის მოლოდინი რესპუბლიკის მოედანზე

ქალაქში იგრძნობა ახალი წლის მოახლოება დედაქალაქში, თუმცა რესპუბლიკის მოედანი ამ მხრივ, ისევე როგორც წინა წლებში, ახლაც გამოირჩეულია.

ყველაფრის ცენტრი, რაღა თქმა უნდა, საზეიმოდ მორთული ნაძვის ხეა, მაგრამ ხალისიანი ცხოვრება მის გარშემო დულს და გადადულს. ყველაზე მიმზიდველი და ჩვენში ერთობ „უცხო ხილი“ მოედანზე საგანგებოდ გამართული ყინულის საციფურაო მოედანია, თუმცა კი, სამწუხაროდ, თბილი ამინდების გამო ის ჯერჯერობით სრულფასოვნად არ ამოქმედებულია, მაგრამ, იმედია, ახლო მომავალში სპეციალისტები მას საშველს დააყენებენ.



მოედნის გაღმა-გადმოღმა საახალწლო სუვენირებით, ნუგბართა და ათასნაირი სათამაშოებით ინტენსიური ვაჭრობაა განაღებული, „თოვლის პაპის სტენდზე“ კი პატარებს მისთვის ბარათის მიწერა და ნატურის შესრულების თხოვნა შეუძლიათ.

დიდი ხალისით ერთგვებიან პატარები მრავალ სპორტულ ღონისძიებაში, რომლებსაც მათ სადღესასწაულო ღონისძიების ორგანიზატორები სთავაზობენ — ბაფთებით, ბურთებით, რგოლებით ტანვარჯიშში, ბატუტზე ხტომაში, მაგიდის ჩოგბურთში. პატარებს სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ პროგრამას სთავაზობენ მოხალისეები — დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, დამსწრეთ მხიარულ განწყობას უქმნიან საგანგებოდ სადღესასწაულო-სამხიარულო სამოსელში გამოწყობილი სამუსიკო ჯგუფი „დრამქულის“ წევრები.

სალამობით კი რესპუბლიკის მოედანზე პატარებისთვის და მათი მშობლებისთვის, თბილისელთათვის და დედაქალაქის სტუმართვის, მოედანზე წინასახალწლო მხიარული კონცერტები იმართება.

ნიწო ალექსანდრიძე, ილგუჯა ნაფარიძეშვილის ფოტო





რომორც ყველა მაგალობელ ფრინველს, ყველა პოეტსაც თავისი განუმეორებელი ხმა აქვს. თუ ყვავილების თავიგულს წარმოვიდგინოთ, რატომ არ უნდა წარმოვიდგინოთ ხმების თავიგულიც. მართლაც, თვალწარმტაცი ყვავილივით ამშვენებს ამ თავიგულს ქართული ლექსის თვით ბუნებისგან ნიჭითადღებული პოეტის ღმერთი მზარდად ყურწარმტაცი ხმა. არც ის ზგავს ვისმე და არც ვინმე ზგავს დილარს, რომლის მუზასაც წლებმაც ვერ დაუკარგეს სიჭარბაგე. მე ჰაერზე არ ვამბობ ამ სიტყვებს, წაიკითხოთ, ბატონო, დილარის ქვემოთე ახალი ლექსები და ვისაც ლექსში ჩაშენებული სიტყვის მადლი ესმის, არა მგონია, კვრი არ დამიკრას.

ულმობელი დროის ჯიბრზე, უკვე საუკუნისთვის წართმეული 75 წლისაც მაგალობელი ფრინველის დარად ინარჩუნებ მხოლოდ შენთვის დამახასიათებელ ყურწარმტაც ყამმოუჭმელ პოეტურ ხმას.

პატივისცემითა და სიყვარულით მურამ გომიაშვილი

ზმანება მოგაძევი

სძინავს ვერს და... ყივილი მამლის კერის კვამლივით ზეცას შეერთვის, - ოლას აჩქამებს სიზმრები ლამის და მეცხადები ძილში შენ, ერთი! მაშხალებს ისერის ბაღდობის ზეცა - სიყრმის ურყოლისგან განუყოფელი; აქ, სინამდვილეს ზამთარი ვერცხლავს, მროლიანდება ჭინხლით სოფელი! ჩაფხვებულნი იმ სიზმარეთში, თურმე ყოფილხარ ალი-ორფერის, ზეცის კობიდან ისე დაეშვი - სულ დაუწყვიტე სიზნი ორფერის!

თაპის განნიკი

დღიდან გაჩენის თავშემწირველი, მღვრიე ქარების ფრთებით ღელვითი, - უსათუთისი, სუსტი ფრინველი - თითქოს ლოცვისთვის შემორჩენილი! დღიდან გაჩენის სიერთგულეში, გულსინჯველში ცამდე მართალი, - უჩუმრად ბუღბუღ ტყეთა ყურეში, ჭრელჭრულა ფრთების მუღმივ ფართქალით! ვერ ნახავთ წამით მოცლილს, უშრომელს, გაფრთიანებულს მუღამ ღვთის ხატიო, (მაგალითს აძლევს მყივან არწივებს), თუ ჭიადუას მარტყს ვერ უშოვის - მკერდს გაიფატრავს თავის ნისკარტით და გულს ჩვილ მარტყებს გაუნაწილებს! ამგვარ საკვირველ სიცოცხლის ინსტინქტს იჭვის ღრინო არ დაუტანია, თავის მოდგმისთვის ძალუმ რომ იღწვის ეს საოცრება - პელიკანია!

გმოლოდ ლოგონი

ვემორჩილებით უამთა სვლის დენას და მასთან ერთად ვიცვლებით ჩვენაც! მომავლის ტვირთი ქვეყნისოდენა, მხრებზე დაგვიდებს მძიმე ლოდებდა! გაჩენის დღიდან ფიქრს არ შორდება - რომ გვამშვენებდეს კაცის წოდება! უნდა გაგაჩნდეს თავლივით ენა, გონის ზეობა და ჭირთა თმენა; სინდის-ნამუსის, სიკეთის ლხენას აგვირგვინებდეს მაღალი ზენა! დასაბამიდან კაცის გონება ოქროთი როდი აიწონება?! გვახსოვდეს მარად ღვთის შეგონება: - ლოგონი გახლავთ ხალხის ქონება!

გაურკვევლობა

ის არ ყოფილა მჩივანი მებღე, საკმარი იყო მისთვის მცირედიც: - უცვმ გამიქრა, ამაოდ ვეძებ - გადამეწურა პოვნის იმედი! ვინდა ამხსნას ტანჯვა-ურევბას რად იმსახურებს შვილი ადამის?! თავს დატეხილი უმედურება ნუთუ გენიდან გენში გადადის? თურმე სიცოცხლე არის ნაკრტენი, სულის შემეწვით ფარფატს რომ იწყებს, ვერ მორჩენიათ გული ნატკენი კაცებს კი არა, უშრალო ჩიტებს! რად ქრება ტრფობა უგმთაეისი, როგორ ამარცხებს კეთილს ბოროტი? თურმე გააქრო ღვარძლმა ალერსი,

ქრელქრულა ფრთების მუღმივ ფართქალით!..

გაურკვეველი ვრჩებით ბოლომდის! მყავდა სათნო და სათუთი შვილი - შვილი ბინულის, მათაა სიმწვანის, დამეკარგა და ვერავინ მშველის - მტანჯავს, მაწამებს დარდი სიმწვავით! რად მომადრინდა მედი ქაწვია, დღიდან გაჩენის რას შემართლება, ყოველდღე ურვას რაზე მაწვდიან? ამით წვევარაში მიქათათდება?! ჩემი გზა, ვხედავ, უფსკრულში მიდის, სადაც სინათლეს აშავებს ბინდი, ეგაა ჩემი ჩაშლილი ხიდი, სიცოცხლის ინდიც, სიკვდილის მიდიც!

არა, არ ახსოვს

ამდენ ბოროტ სულს, ამდენ დემიურგს მიხედვა უნდა მკაცრი, დროული, ხალხს უნდა შქონდეს ძალა დევერი და არა შიში, ლიქვანა მონური! მამაკაცურ და ქალურ საწყისებს სისხლი ჭირდება ცხელი, ველური, ვერარას განსჯი ახლა აწინდელს, რადგან ის ხდება ეფემერული! დღიდან გაჩენის არ ახსოვს ქართველს, რომ ყოფილიყო ასე ძლეული!

სად ჩანს სუპელი

ვერც კი დაითვლი გაჩნდენ იმდენი ეგ შელექსენი - ახალ ფანდურის, - მათ ზეადმართეს ვით სიმდიდრენი ტომეულები - გენიყალბურნი: თუ გსურს მოფენა სულში საღბუნის დაეწაფე მათ ცქრიალა წყაროს; თავაშვევული, უწინ დაბმული, თავის ნადგაწის განფენას ლამობს! ლექსმა დაკარგა აზრი, რაობა, ბილწისტყვობის გახდა მორევი, გაშიშვევებული გრძობის თაობა - დიდ სიმაღლეთა ვითომ მომრევი! მათ მიმიკრიად მიეკვნენ ძველნიც, ატყლაშუნებენ ენებს სახრებად და ესიზმრებათ სამყარო მთელი ისეთი გახდა - ვით ესახებათ. აწ ვინ უშველის ლექსს და მუსიკას, ყრუებს და მუნჯებს უდგათ პარადი; ჭეშმარიტ მკითხველს ცხადად გულს უკვლავს ზეიმი რომ აქვს უთვლელ ალადინს!

აპაო ლოღინი

კულის ნატეხებდა მკიღია მხრებზე ჩემი ცოდვილი გზის ნაბიჯები, აწ ყიამეთში ამაოდ გეძებ, ვატყობ, ზესკუნელში ტყულად ვირჯები! ვით სათეატრო რეკვიმბიტები ორნივ ჩავმარდიოთ სსოვნის მუზეუმს, შეხედე, როგორც მფრთხილი ჩიტები შემომეცალნენ სუსტი მუზები!

შენ ოჯახში ხარ დღეს ჩაძირული - ბაღში ფუსფუსებ ქვრივის თავსაფრით, როგორ დაგვიშრა ტრფობის ბინული - გვალება დაგვზარდა ათი ათასი! ცხოვრება მიგვაქვს უერთმანეთოდ, ალბათ ერთხელ არ მოგაგონდები, რაც მაშინ ჩაქრა, აღარ აენთო - ვდგევართ უფსკრულთან მღვრიე ბლონდებით!

ეს ჩვენი სული უკვე ცოდვილი - მალე ეწვევა ზეცის კანიბჭეს, ვის რაში აწყობს ზესკუნელს ლოღინი? როცა სიმშვიდე ტანჯვას არ იჭენს!

დაპიანებული ნუხილი

ამ ზამთრის პირზე ხეს შევრჩი კუხედ, ვერ დავამწიფე ბაღში ხეხილი, - ეს ოდობადე - სამშობლო-კუთხე არის მტარვალთგან გადახეჩნილი! იტირე სულ,

გულო იტირე, თუმცა ცრემლები ტკივილს ვერ კეტავს, მოღიავემულ გრძობის ვიტრინებს რაღას უშველის სასოწარკვეთა?! ლანდალ შემდგარი გაქვრები ლანდალ - არა აქვს ჩემთვის აზრი არაფერს, არავის ვერჩი, არავის ვლანძღავ, რადგან უნარი განსჯის წამართვეს! ... ხეს შევრჩენილვარ ბოლომდე კუხედ!

დაბრუნება

ამ მკვდარ ეზოში ფერწასული - დამეს შევეყრებ, სადღაც შორს ყმუის ძალი ყრუდ და შიმშირეული საკუთარ ლანდსაც ვერ ვპოულობ მთვარის სხივებში სხეულმა ჩრდილიც უსათუოდ დაშკარვა ვატყობ, სიჩუმე ღმობილად განფენილა კოლხურ ეზოში, როგორც ჩრჩილებით დაძინილი ძველი ხალიჩა... არ ძინავს წყაროს, მესმის ცვი შხეფთა წკარუნი, ვითარც ამ ეზოს ავი მუღის მანიშნებელი, დიდი ხანია არ მსმენია მოთქმა რეფრენად, ის დღეს მკაფიოდ მიმხელს უამის გარდუვალობას, დიდი ხანია, რომ სიზნე მიმინებებს ისარს და სიტაბუკის სიზმრები კვლავ მიმზრუნდებიან, ახლა ყველაზე მძაფრად აქ ვგრძობ მინის ხმებსა და შემოდგომის ტკივილსა და ყვირთელ ფორიაქს.

ყმუის ძალი და... დამე მაკრთობს შიმშირეული! * * * სადაც აქა თვლებს უღრუბლო სიყვარულისა და კამკამა ცის ნამსხვრევთა იალფიალი! მთვარეს მაშინდელივით მოურგავს ტანზე ფერადი რგოლი და მძაფრად ისრუტავს ჩახახახა მზისგან მონიჭებულ სხივთა სიკაშკაშეს. ვინ მებტყვის, ნეტა, როდემდე უნდა გავრძელებს ზეცაში მოჩვენებითი რეალობის განფენა, ვინ მებტყვის ნეტა? - ვინ მასწავლის სიმათლის ანზანს?!

ტკივილი

პრის უნი ზიანი

ნუგზარ მგალოგლომის როცა ფაზისთან ჩავუშვებთ ღუზას, მხრებზე მოვირგებთ როდესაც რუგზაკს,

არწივის ყორყოტს ნუ ჩავთვლით მუზად, გორდში რომ ზოგინს აყვევართ, ნუგზარ! იქ, ასხის მთებზე გაკვეცილს ელევა და ცისარტყლებად წაგვევიდება, - ვიცით რომ ჩვენს სულს პონტოს ზღვის ღელვა, ვითარცა სისხლი ისე სჭირდება! ყველა საწყისი ბოლოს მთავრდება, მაგრამ წერტილი არა აქვს მუზას, ამ უსასრულო ქმნადის თავდებად ჩვენ გაგვაჩნია ძიება, ნუგზარ! შენ ფერებს არჩევ, მე კიდევ - სიტყვებს, გვაერთიანებს სამშობლოს სევდა, საოცარია რა ტკივილს იტევს ეს ოდობადე - უკვდავი დედა! გვათლიანებდეს მასზე დარდებიც, მასზე ვზრუნავდეთ, არ გვექონდეს მოცლა! უპირველესად ჩვენ იქ დავდგებით, სადაც ლოგონს მოისმის ლოცვა! ძმაო, მამურალო! ყველას საღბუნად წამალივით რომ გულზე ედებ; ყრუოლა-თრთოლასთან აზრი

დამბულა - სისხლი ნამდვილი შემოქმედების. გორდში ჩანჩქერთა ვერცხლად იღვრები, რიცხისთან დარდის ცრემლად ვლინდები, ძილშიც ბოგავ და აღარ იღლები, უფრო და უფრო ვხედავ - დვინდები! ოკეანეა, გული კი არა, რაც მოგხვევია გრძობის მორევი, უნდა მოვიჩვენო ყველა იარა - მეფისტოფელთა მყავდე მომრევი! ნუგზარ! უფლის გზას ნუღა შეზღუდავ, ეგაა შენი ანსობის ანსი, უპირველესად გაცოცხლებს მუზა, ეგ ქალბატონი არ წავა არსით! რადგან მან გსახა მომავლის განცდა - სეტევანივით ხარ აღმართული, შენში ფესვობს და წამით არ გაგცდა ამბოქრება - ვნება ქართულის!

ასა, ასა!

ვინც მე მიყვარდა, ვესკუნელს შევრი არ შერჩენია, შვი, ივარდავ, ვატყობ ჭიმა, შენი ჭერია! ვხედავ, ივარდავ მაქოს ბრუნვამ - კოლხურ ჩერიამ! ქრობის იმ მადას საგალალო მწუხრის ფერი აქვს! დედას აკვანთან იავნანა არ უმღერია! ფერფალიც აქცია ომის მესხმა მამის კერია! ცირა მყავდა და მზე გაუწყრა, ღვთიურ ფერიას, მარადული საწუთროში მხოლოდ ცრემლია! წინ რომ მიელავს, მიქელასი მჭრელი ცელია, როგორც ვითხარით - ქვესკუნელს შიგან უკვე მელთან!

აპაოპის პირისპირ

ქარის წისქვილებს წარხოცავს ქარი, თვალში სინათლე უქრებათ ჭოტებს; გაუცამტვერეს ესპანეთს ფარი - ხავსი ედება ცრუ დონკიხოტებს. მათი სურვილი დამსგავსებული ნაპირზე უწყლოდ ამოყრია თევზებს, გონიერება ძაძით შეძრულა და გამოსავალს სულ ფუჭად ეძებს! ჩაცხრა, ჩანავლდა ვნება კარმინის - პირინეის მივებს ფითრი მოედო; - ამაოების ბაზრის მჭე ელის ნამუს განძარცულ მადრიდ-ტოლედოს! ქალი ქალს ეტრფის, კაცს კაცი მოსწონს, აი, ფიასკო, ლაფი ყელამდის, ამდენი მიზლი, ფურთხი თუ ლორწო ყველაფერს ფარავს ვნება, ვერავი! ვერას გაიგებ ცხელა თუ ყინავს, მტანჯველ დღეებზე ვრჩებით მიკრულნი, ნახეთ, მსოფლიო ღვას თავდაყინა, ადამიანი ხდება ფიტული! ესპანეთი თუ მსოფლიო მთელი ვედარ ეწვევა პრაფლებას უთვლელს; აი, მტანჯველი ლოგონის რთველი - ხვალის დღეს დამეს ამაოდ ვუთვებ!

ფიქრები ტელევიზორთან

ხარჭის აღსარება

მოურიდელობა, თავხედობა, გაუნათლებლობა, მატყუარობა, არაკომპეტენტურობა, უკულტურობა... ამ არცთუ შესაანატრი თვისებათა ნუსხის გაგრძელება კიდევ კარგა ხანს შეიძლება, მაგრამ ყველაზე გულგახსნეული მანაც ისაა, რომ ყველა ეს თვისება საფრთხივით მიესადაგება... თანამედროვე პოლიტიკოსებს!

ამ სენით მარტო სამამულო პოლიტიკური სპექტრი არ არის შეპყრობილი, მეტ-ნაკლები სიმძაფრით ის თავისუფალი განვითარების გზაზე არცთუ დიდი ხნის წინათ დამდგარი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. ამის მიზეზი კი, პირველ ყოვლისა, ისაა, რომ, ყველა სხვა პროფესიისაგან განსხვავებით, უმეტესწილად, საამისოდ საგანგებოდ მოუშაბადებელი ადამიანები მიდიან, ძირითადად თავიანთი აქტიური (ხშირად არცთუ უანგარო!) საზოგადოებრივი პოზიციის წყალობით.



ამასთან, რაც ხშირად აშკარად თვალში საცემია, ისინი დიდი ფსიქიკური მდგრადობითაც არ გამოირჩევიან, თუმცა კი, ფსიქიატრის ცნობის წარდგენა ბევრ შემთხვევაში არაერთ არასასიამოვნო ექსცესს ააცილებდა საზოგადოებას.

არსებული მონაცემებით, ბევრ ქვეყანაში პოლიტიკოსები - როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, - ნაირ-ნაირი ნევროზებით, სტრესებით, კომპლექსებითა და გადახრებით არიან შეპყრობილი. ამიტომაცაა, რომ მრავალი ქვეყნის პარლამენტში დავიდარაბა და ხელით ჩხუბი სულაც არ არის იშვიათი ამბავი. თუმცა, ამ ფონზეც კი, ცოტა ხნის წინათ უკრაინაში ორი „მკვიდრი უკრაინელი“ - სომეხი ავაქოვისა და ქართველი სააკაშვილის ჩხუბი მაინც ყველა ზღვარს სცილდება. ავაქოვის რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება სააკაშვილს, რომლის ზნეობრივი პორტრეტი უაღრესად ხატოვნად წარმოაჩინა 26 დეკემბერს რუსეთული HTB ტელეარხის სხვადასხვა სკანდალებისადმი მიძღვნილ გადაცემაში „ახალი რუსული სენსაციები“ „თავისუფალი ქვეყნის“ ქალიშვილმა ალექსა ჩერესანიმ, ამან კიდევ ერთხელ დაგვანახვა ნაციონალური მოძრაობის ლიდერის სულიერ-მორალური „დაფერდება“. დაახლო-



ებით 15-20 წუთის განმავლობაში ეს თავხედი, მოშიშვლებულმკერდიანი ქალიშვილი ყოველგვარი მორიდების გარეშე ყვებოდა ტელეკამერის წინ სააკაშვილთან გაცნობის ამბავს, როგორი „კონცანობისა და ტყუილი ლაქლაქის“ ტრფიალი იგი და როგორი „ისე რა ვაცია“ „იმ საქმეში“, როგორი სექსუალური მიდრეკილებები აქვს ინტიმურ ურთიერთობებში, როგორ უყვარს ლოგინში განვარტულებების გაცემა - ახლა ასე გადაბრუნდი, ახლე ისე დანექიო...

ამ საკითხზე ლაპარაკი იქნებ სულაც არ ღირდა ამ ახალი წლის წინა დღეებში, რომ არა ერთი გარემოება. დღე ერთია და სამამულო ტელევიზორის უკლებლივ ყველა არხით ნაცემობის ერთი რომელიმე წევრი მაინც გამოდის და გაუთავებლად ლანძღავს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ, პირადად მეც და უამრავ ხალხს ირგვლივ, ამის ატანა აღარ გვაქვს! მარტო ასეთი ლიდერის პატრონები, მათი ხელისუფლების „სასიკეთო საქმეებზე“ რომ არაფერი ვთქვათ, არა თუ ტელევიზიით ანდა მასმედიის რომელიმე სხვა საშუალებით უნდა ერიდებოდნენ საჯარო გამოსვლებს, სამეზობლოშიც მორიდებულნი უნდა დადიოდნენ, თვალი ზედმეტად არავინ შეგვაფლოსო... მაგრამ არა, ყველას ერთიანად რევანშის უძლიერესი გრძნობა ამოძრავებს და ახალი არჩევნების მოლოდინში რაც ძალა და ღონე აქვთ იჭაჭებიან - კვლავ დავბრუნდებით ძალაუფლებაში და მერე ჩვენ ვიცით „მაიმუნობა“ როგორ უნდაო.

აკი ტყუილად კი არ ყვებოდა სააკაშვილის ხარჭა - ძალიან განიცდის მიშა იმას, რომ თავის ქვეყანაში არაფრის გაკეთება არ შეუძლია ძალაუფლების დაკარგვის გამო... ყველაფერი მაინც ხალხის ხელშია და თუმცა ხელისუფლების მიმართ გარკვეული პრეტენზიები სავესებით სამართლიანია, შემოდგომაზე არჩევანი მოსახლეობამ დიდი დაკვირვებითა და ცივი გონებით უნდა გააკეთოს.

ოთარ ტურაბალიძე

ალიან-ჩალიანი

ელექტროენერჯის ტარიფი უსაძლოა, არ გაიზარდოს

სამშაბათი რეგიონებში „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ აბონენტებისთვის ელექტროენერჯის ტარიფის კორექტირების საკითხს განიხილავენ. ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში განმარტავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტარიფი 2014-2017 წლებში განსაზღვრული, თუმცა, არსებობს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია, ტარიფის ყოველწლიური გადახედვა მოხდეს.

როგორც სემეკის წევრმა გოჩა შონიამ სსდომის გადამწებამდე აღნიშნა, სემეკმა „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ დღეისთვის მოქმედი ტარიფები 2014 წლის სექტემბერში დაუდგინა და ის ძალაში 2015 წლის 31 დეკემბრამდეა.

შონიას განცხადებით, „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ აბონენტებისთვის ტარიფი, სავარაუდოდ, არ გაიზარდება. თუმცა, მისივე თქმით, მოხდება ყველა იმ წინადადების განხილვა, რომელიც კომისიაში ენერგო-პრო-ჯორჯიას მიერ არის წარდგენილი.

„ტარიფი, სავარაუდოდ, არ გაიზარდება, მაგრამ მე არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო. დეპარტამენტი წარმოადგენს თავის მოსაზრებებს და თავის გაანგარიშებებს. მოვისმინო კომისიის მოსაზრებებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას“, - დაძინა გოჩა შონიამ.

საახალწლო ნობათი მოსი ათასზე მეტ ბენეფიციარს

სამშაბათი რაიონის გამგებამ უფასო კვების სასაფლაოთი მოსარგებლე ბენეფიციარებს საახალწლოდ სასაჩუქრე ნობათები გადასცა. საახალწლო ნობათები, რომელშიც შედის ქათამი, მცენარეული ზეთი, შაქარი, ბრინჯი, ფქვილი, ნამცხვარი, კვერცხი, შესქელებული რძე და სხვადასხვა სახის ტკბილეული, სამგორში არსებულ 11 უფასო კვების სასაფლაოში დარიგდა. საახალწლო ნობათი გათვალისწინებული იყო უფასო კვების სასაფლაოთი მოსარგებლე 4351 ბენეფიციარისთვის.



შპს ვარდნილქვისების კასკადის განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ (მოქალაქეო ფასკლავის შეფავ)

შპს „ვარდნილქვისების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაის ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გაღის რ-ნი დას. რეჩნი), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის №9 სსდომის ოქმის გადამწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტი) აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამომშენებლის წელი	საწყისი ფასი	„ზე“-ს ოდენობა	ზოჯი	ხილვის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ობელ ვექტრა	VNV-724	1998	1575	150	30	10	გალი
2	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	2362	250	35	10	გალი
3	ობელ ვექტრა	CAI 638	1990	787	80	20	10	გალი
4	ა/შ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	1406	150	25	10	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილქვისების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ზე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ზე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია შპს „ვარდნილქვისების კასკადი“, ს/კ 251716362 სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. N GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა 2015 წლის 29 დეკემბრის 10 სთ-დან 2016 წლის 8 იანვრის 12 სთ-მდე, ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 8 იანვარს 13 საათზე, მითითებულ მიმამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ვარდნილქვისების კასკადთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ზე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);
- „ზე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; - სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

- რეალიზების შემთხვევაში დღე-ს გადახდა ან არგადახდა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს აუქციონზე გამარჯვებული პირის გამოცხადების შემდეგ.

მანქანების სარეალიზაციო საწყისი ფასი დადგენილია ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 ოქტომბრის №5005303315 დასკვნით.

სააუქციონო კომისიის ზონანგარიშ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952 577 434493.

შპს ვარდნილქვისების კასკადის აუქციონის მომხმარებელი კომისია

კალოსნობა

ჩეხეთის ეპიტომუს 99(!) კილოტი აჯობა



საბრტეხილს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 60-ზე მეტი ძალოსანი მონაწილეობდა მარნეულის საორთის სასახლეში გამართულ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის - კახი კახიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრების ადგილზე იმყოფებოდა მსოფლიოს იბრძოდა 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ლაშა ტალახაძე. ერთი თვის წინათ ამერიკულ ჰიუსტონში 22 წლის საჩხერელმა გოლიათმა 454 კილოგრამი (207+247) მოაგროვა ორჭიდში. მარნეულში მას მსოფლიოზე ნაჩვენებები შედეგის გაუმჯობესება არ უცდია - აკვრაში მესამე ცდა არც გამო-

უყენებია. ამის მიუხედავად, ორჭიდში 438 კილოგრამს მოუყარა თავი და მძიმე წონაში პირველი ადგილი დაიკავა, თან მეორე ადგილზე გასულ მეტოქეს 99 კილოგრამით აჯობა. მარნეულში ლაშას კონკურენციას არ უწევდა ამავე წონაში 2015 წლის ევროპის ჩემპიონი ირაკლი თურმანიძე, რომელიც ტრავმის გამო ფიცარნაგზე არ გასულა. 105 კილოში ქუთაისელმა ევროპის ექსტრემალმა რაულ ცირეკიძემ თანაქალაქელ ალუდა მანაგაძის მსგავსად ორჭიდში 360 კილო დაძლია. პირადი წონით იგი მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდა და პირველობაც მას ერგო.

ტრადიცია

„ბენდელას თასი“ „საბურთალო“ მოიგო

აზნაზიში გამართულ დაღუპული ზაზა ბენდელიანის სახელობის „ბენდელას თასის“ გათამაშება, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, „საბურთალოს“ გუნდმა მოიგო, რომელმაც ფინალში 4:1 დაამარცხა „დინამოს“ აკადემია და პირველად დამსახურებულად გახდა ტურნირის გამარჯვებული. ფინალური მატჩი, ისევე როგორც ჯგუფური ეტაპის შეხვედრები, წუთიერი დემოლით დაიწყო - დამსწრე საზოგადოებამ იმ ადამიანების სლოგანს მიაგო პატივი, რომლებიც „ბენდელას თასის“ ორგანიზატორები იყვნენ, ასევე ვისი სახელობის ტურნირიც ტარდება - ზაზა ბენდელიანი, ქართველი ჭეშუმურიძე, რევაზ მგელაძე, ბესო ხარბიანი, დავით პეტრიაშვილი...

რები და გვერდში მდგომი ადამიანები წინა წლებში სხვებიც მრავლად ჰყავდა. არც წლევედელი წელი იყო გამონაკლისი. ტურნირის სპონსორობა და სხვადასხვა პრიზების დაწესება „საბურთალოს“ „ლიდერ-ბეთმა“, „სახალისო ფეხბურთი“ - ლია სკოლემა, „ჯეოსელმა“, „ათინამ“, „ყავა პელემ“, „მთაწმინდის პარკმა“, „ყაზბეგმა“ და „მკალონალ-დსმა“ ითავეს. სხენებულ ტურნირზე პრიზისა და საჩუქრების გარეშე არც ერთი გუნდი არ დარჩენილა. დაჯილდოებაში მონაწილეობდნენ „დინამო“ თბილისის ხელმძღვანელები - პრეზიდენტი რომან ფიფია და მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები - პრეზიდენტი ლევან კო-

მემორიალში წლებულს 12 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის ვლადიკავკაზის „იუნოსტი“ და ბავშვებმა დაძაბული მატჩებით დაამასხოვრეს გულშემატკივრებს თავი. ტურნირის ბოლო აკორდი სასიამოვნო საცქერო გამოდგა, სადაც კომპაგმა მრავალი გატანილი გოლი იხილა. ფინალში დავით ხიტორის გუნდმა მშვენიერი თამაში აწვენა და ერთმანეთზე უკეთესი ბურთები გაიტანა. სატიტულო შეხვედრაში დუბლი მიითვალა საბა დვალმა, თითო-თითო გოლი კი ლუკა მამულაშვილისა და ლუკა წულუკიძის ანგარიშზეა. მესამე ადგილზე აბაშის „ზანა“ გავიდა, რომელმაც მატჩში მესამე ადგილისთვის „საბურთალო“-ბენდელა“ პენალტების სერიაში დაამარცხა. შეჯიბრება, ისევე როგორც გასულ წლებში, „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ დახმარებით ჩატარდა, „ბენდელას თასი“ კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციების, საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ ეგიდით გაიმართა. აღნიშნულ გათამაშებას სპონსო-



ბიაშვილი, გენერალური მდივანი დავით მუჯირი, ვიცე-პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე, საჩუქრები ასევე გადასცეს „საბურთალოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა კახა კაშიამ და „სახალისო ფეხბურთი“ - ლია სკოლემა. წარმომადგენელმა ბადრი ქარქაშაძემ. პრიზორებს შესაბამისი სინჯის მედლები და თასები გადაეცათ. რაც შეეხება ნომინაციებში გამარჯვებულებს, მათი ნუსხა ასე გამოიყურება: საუკეთესო მეკარე - გიორგი ლომაია („ზანა“), საუკეთესო მცველი - მუსრან ბაგრატიონი („დინამო“), საუკეთესო ნახევარმცველი - სანდრო გაფრინდაშვილი („საბურთალო“), საუკეთესო თავდამსხმელი - ჯაბა იობაშვილი („დინამო“),

კვარცხლბაქი

- 56 კგ. 1. გურამ გიორბელიძე (ქუთაისი) - 182 (80+102), 2. გიორგი დოკვიძე (საჩხერე) - 160 (70+90), 3. მანუჩარ გოგობია (ზუგდიდი) - 138 (63+75). 62 კგ. 1. რამინ შამილიშვილი (ქობულეთი) - 250 (114+136), 2. გოდერძი ბერდელიძე (საჩხერე) - 249 (113+136), 3. აჩიკო მალაყმაძე (ხელვაჩაური) - 225 (103+122). 69 კგ. 1. გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი) - 291 (126+165), 2. თორნიკე თოდაძე (საჩხერე) - 261 (120+141), 3. ბაჩანა ქუხილაძე (ზუგდიდი) - 235 (110+125). 77 კგ. 1. ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე) - 295 (140+155), 2. გივი პატარაშვილი (თბილისი) - 267 (120+147), 3. ნოდარ კაკაბაძე (ქუთაისი) - 262 (122+140). 85 კგ. 1. ირაკლი ჩხეიძე (ზუგდიდი) - 317 (144+173), 2. რეზი დავითაძე (თბილისი) - 315 (142+173), 3. ირაკლი ფაჩულია (ქუთაისი) - 255 (118+137). 94 კგ. 1. ლონგინოზ ბრეგვაძე (საჩხერე) - 347 (157+190), 2. გიორგი კუჭანაშვილი (თბილისი) - 299 (128+171), 3. ირაკლი ჯალალონია (ზუგდიდი) - 299 (131+168). 105 კგ. 1. რაულ ცირეკიძე (ქუთაისი) - 360 (162+198), 2. ალუდა მანაგაძე (ქუთაისი) - 360 (165+195), 3. გიორგი მაისურაძე (თბილისი) - 340 (160+180). +105 კგ. 1. ლაშა ტალახაძე (საჩხერე) - 438 (203+235), 2. დავით ხეცურიაანი (ქუთაისი) - 339 (151+188), 3. ბატარ თურმანიძე (ქობულეთი) - 326 (154+172). გუნდური. 1. საჩხერე (198), 2. ქუთაისი (192), 3. ზუგდიდი (181 ქულა).

ლემსო ცინცაძე

სურბათმა: მარცხნიდან - დავით ხიტორიანი, ლაშა ტალახაძე და ბატარ თურმანიძე.

ბომბარდირი - საბა დვალი („საბურთალო“), საუკეთესო ფეხბურთელი - ლუკა წულუკიძე („საბურთალო“), ტურნირის აღმორჩენა - ლევან კობახიძე („დინამო“), საუკეთესო მწვრთნელი - დავით ხიტორი („საბურთალო“), მწვრთნელთა სიმბატია, ქართლის ჭუმბურიძის სახელობის პრიზი - გიორგი ლობჯანიძე („საბურთალო“), ტექნიკური ფეხბურთელი, დავით პეტრიაშვილის სახელობის პრიზი - ლუკა მამულაშვილი („საბურთალო“). თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ყველაზე მეტობა გუნდს - „საბურთალო“-ბენდელას“ სპეციალური თასი გადასცა, „ჯეოსელმა“ კი ტურნირის ყველაზე ნორჩ ორგანიზატორს პატარა კახა ჭუმბურიძეს ტელეფონი GALAXI 5 უსახსოვრა. ქართლის ჭუმბურიძის ოჯახის მიერ დაწესებული პრიზი საბურთალოელ ნიკა გუჯეჯიანს ერგო.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

ინტერნეტის ნაცოლარი სორსს არ ექარება

ფილიპო ინტერნეტის ყოფილი მფლობელი ალისია ვენტურა ამ ბოლო დროს კიდევ ერთხელ მოხვდა ევროპის ბულვარული მედიის ყურადღების ცენტრში. „პიპოს“ ნაცოლარმა მეგობრებთან ერთად სპეციალური საქველმოქმედო საღამო მოაწყო ვეგეტარიანელობის პრობლემების მხარდასაჭერად. აბა, ჩვენი რა საქმეა, ვინ ჩაიდეხს სორსს პირში და ვინ არა, მაგრამ მაინც ერთობ უცნაური გეგონია ვეგეტარიანელობის პროპაგანდა. მაინც რა პროპაგანდა უნდა განა ასეთი ამ ვეგეტარიანელობას? არ გიყვარს ეს სორსი და ნუ შეჭამ, ქაბაბი და ლორის კანჭი კიდევ სხვებმა გაკბინონ! მაგრამ არა! ალისია ვენტურა თამამად აპყვა თანამედროვეობას და აცხადებს, რომ ადამიანები ჩვეულებრივი მძორიკე-მიები არ უნდა ვიყოთ და სორსისმჭამელ კაცს იგი უედაც კი აღარ შეხედავს. ეს მაშინ უნდა ეთქვა, ვარჯიშიდან სახლში დაღლილი მისული ფილიპო ინტერნეტი ნათელ ღვინოში აშიშინებულ კაი სტივიკს რო გადაუშვებდა ხოლმე ჟანგიან ყბაში. უყვარდა განა...

როსტომ რაჭველიშვილი

როგორღი

სასახლეოდ - მთავარი პრიზი



ბივი ბაბუა

საზოგადოებრივი ფინიშა

მესი ზღის ფეხბურთელია, პირლო პარიპრისტივის დაჯილდოვებს

GLOB SOCCER AWARDS-მა მსოფლიოს 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელად კატალონიის „ბარსელონას“ და არგენტინის ეროვნული ნაკრების ვარსკვლავი ლიონელ მესი დაასახელა. სამხრეთამერიკელმა თავდამსხმელმა უკან პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ (მე-2 ადგილი) და იტალიელი ჯანლუიჯი ბუფონი (მე-3 ადგილი) მოიტოვა. გამარჯვების შემდეგ მესიმ მცირე კომენტარიც გააკეთა: „ბედნიერი ვარ, რადგან ყოველთვის სასიამოვნოა გამარჯვება. ეს წარმატება ჩემი თანატოლებს დამსახურებაა, 2015 წლიდან კი



ერთი, საუკეთესო მომენტის გამოყოფა გამიჭირდება“, - აღნიშნა მესიმ. გარდა წლის საუკეთესო ფეხბურთელისა, გამარჯვებულნი სხვადასხვა კატეგორიებშიც გამოვლინდნენ - ბელგიის ეროვნული ნაკრების თავაჯი მარკ ვილმოტსი წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა, ხოსეპ მარია ბართომეუ („ბარსელონა“) საუკეთესო პრეზიდენტი გახდა, ხოლო ყორყე მენდემეუ (ყოფილი მორინოსა და კრიშტიანუ რონალდუს აგენტის) აგენტებს შორის გამოარჩიეს. უპრიზოდ არც ვეტერანი იტალიელი, „ნიუ-იორკ სიტის“ ნახევარმცველი ანდრეა პირლო დარჩენილა, რომელიც ინტელექტუალურ ფრენკ ლამპარდის მსგავსად, განვლილი კარიერის გამო დააჯილდოვეს. „ამ პრიზის მიღებით კმაყოფილი ვარ. ჩემს კარიერაში ბევრი ლამაზი ეპიზოდი ყოფილა და ფეხბურთში ბევრი რამ მოვიხვეყნე. მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირია და მქონდა ბედნიერება, რომ მომეგო. ჩემი აზრით, განვლილ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული მომენტი სწორედ 2006 წლის მუნდიალი გახლდათ“, - თქვა პირლომ. წლის საუკეთესო მატჩად „ბარსა“ - „სევილიის“ თბილისური სუპერთასი მიიჩნის, სეზონის გოლად - მესის მიერ „ბაიერნთან“ შექმნილი შედეგები, ხოლო საუკეთესოდ - „ბენფიკას“ ბავშვთა აკადემია.

კოზა კოზახიძე

სანთელი

გეოლოგიური მონიტორინგით ღვაწლმოსილ მცენიერსა და მამულიშვილს

გარდაიცვალა გეოლოგიურ-მინერალოგიურ მონიტორინგითა და დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ოთარ დუდაური.



ო. დუდაურის მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტთან და საქართველოს ტექნიკურ და ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ო. დუდაურის მეცნიერული მოღვაწეობა გეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის პეტროლოგიის ფართო სპექტრს მოიცავს. მან დეტალურად შეისწავლა საქართველოს მეზოზოო-კაინოზოოური მაგმატიკების პრაქტიკულად ყველა გამოსავალი აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის, ხევსურეთის, თუშეთის, მთიანი კახეთის, ცენტრალური და სამხრეთ საქართველოს ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია, რომელთა დიდი ნაწილის თანავტორი მისი მუშაობის მთავარი მიმართულებაა მოჭადრაკე მანანა ტოკონიძე.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ო. დუდაური ხელმძღვანელობდა ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის იზოტოპური გეოქრონოლოგიის ლაბორატორიას. მისი ხელმძღვანელობით დათარიღდა არაერთი გეოლოგიური ნარჩონი, რის შედეგადაც ახლებურად იქნა განხილული მრავალი გეოლოგიური მოვლენა.

ო. დუდაური იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის ინიციატორი და მონაწილე. მას მჭიდროდ სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდა უკრაინის, რუსეთის, გერმანიის, უნგრეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ო. დუდაურის მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკურ და ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის მიერ აღზრდილია მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი და მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი სამეცნიერო დისერტაცია.

ო. დუდაური აქტიურად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი ათეული წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა თავის მიერ შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს „არაგველს“ და შემდგომ „მისა და ბარის კავშირს“. წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილი, შესანიშნავი პიროვნება და არაჩვეულებრივი მეოჯახე - ოთარ დუდაური.

ივანე ჯავახიშვილის თაბისის სახ. უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტში

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე სამხმარის უცხადებენ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მამიდის დოღო ვიქტორის ასულ ბურჯანაძე-ლარსულიანის გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია

სარჯის სანაპირო ზოლზე გადაადგილება უსაფრთხოდ

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, სენაკი-ფოთი-სარჯის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე გზის საფარის აღდგენის და სანაპირო ზოლის გამაგრების სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ეკა სეფაშვილმა, „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორთან იოსებ ოზაშვილთან ერთად დაათვალიერა. გამაგრების სამუშაოების დაწყებამდე, შტორმული ტალღების შემთხვევების შედეგად, გზის ქვედა ფერფი ირეცხებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა მგზავრების უსაფრთხოებას. ინტენსიური ქვის-ცემენტის გამო პრობლემას ქმნიდა გზის კლდოვანი ნაწილიც. ქვის-ცემენტის შესაწვრივად, კლდეზე სპეციალური დამცავი ბადე კეთდება; სანაპიროზე შენდება 8 მეტრი სიმაღლის ქვანაყარი ფერმა და მაგრდება 10-ტონიანი 8500 ტეტრაპოდით. რეაბილიტაცია ჩაუტარდა გზაზე არსებულ 110-მეტრიანი ესტაკადას და კლდეზე სპეციალური დამცავი ბადე გაკეთდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორია დაცული და უსაფრთხო გახდება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე - საერთაშორისო გადაზიდვებისა და უცხოელი მგზავრებისთვის. სარჯის ნაპირგამაგრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 58 მილიონ ლარზე მეტია. სამუშაოებზე 100 ადამიანი დასაქმებული. პროექტის დასრულება 2016 წელს იგეგმება.

ეპიტაფია

ბექან ხურციძის ხსოვნას

ახლა, როდესაც მარადისობაში გადახვედი, ძალაუნებურად მახსენდება პოეტის სიტყვები: „სიკვდილი დედაა, სიცოცხლე კი დედინაცვალი“. აკი ამიტომაც გქონდა გაუთავებელი ომი შენს დედინაცვალთან და ერთი მრუდე სიტყვაც არ დაგცდენია დედაზე.



დედო და ისიც ლომურად თავს დაესხმებოდა. ის ორ ნავეზე იჯდა - ერთით, რომლითაც ბუნების სტიქიას მიაპობდა და მეორეთი, რომლითაც ბოლოქარი ცხოვრების ტალღებს უშკლავდებოდა. როგორც ერთი ნავი, ისე მეორეც, მან თავისი ძალით და ენერჯით სამშვიდობოზე გაიყვანა. მას არასოდეს უღალატია თანამეგობრებისთვის თუ თანამცხოვრებთათვის.

მასსოვს, მე და შენ - შენი წინაპრებისა და შენთვის ყველაზე საყვარელ ზარზმის მონასტერში რომ ვიყავით, ახლაც თვალწინ მიდგას შენ მიერ დანთებული ასი სანთლით გაბრწყინებული სამლოცველო დარბაზი. მასსოვს, სამჯერ რომ შემოუარე მონასტერს და ყველა ქვას გულმოდგინედ რომ კოცნიდი. რა იყო ეს, წარსულთან მიასლოება თუ სისხლის ყივილი. სწორედ იქ დაგინახე იმ მონასტერში როგორც უკვდავი გვარისა და ჯიშის წარმომადგენელი. გეუბნებოდი კიდევ, ხომ შენც, არავინ შენ არა გგავართ და არც შენ ჰგავხარ რომელიმეს-მეთქი.

ბექან ხურციძე ლომი იყო, რომელშიც დიდ ადგილს იკავებდა სინაზე და სიყვარული, მაგრამ მასში მაინც ჩაბუდებული იყო ის სიბრაზე და სიმკაცრე, რომელიც მყისვე თავს იჩენდა, როდესაც იმის გარშემო უკაცური და უხამსი რამ გამოჩნ-

მან თავისი ძალით და ენერჯით სამშვიდობოზე გაიყვანა. მას არასოდეს უღალატია თანამეგობრებისთვის თუ თანამცხოვრებთათვის.

მენანება, ძალიან მენანება ჩემი ლომი, რომელმაც ადრე დაიძინა. მას ჯერ კიდევ მჭრელი და ბასრი კლანჭები ჰქონდა.

მშვიდობით, ჩემო ძმაო და საყვარელო მეგობარო!..

გრიზა ონიანი

თეა, სულხან ლომინაძეები დიდი მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი, ერთგული მეგობრის, ღირსეული პიროვნების

ბექან ხურციძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მედეა, ელიზბარ ლომინაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, კაცური ღირსებით გამოჩენილი და უღალატო მეგობრის

ბექან ხურციძის

გარდაცვალებას და გულითადად უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახსა და სანათესავოს.

თენგიზ კალანდაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის, ჭეშმარიტი რაინდისა და სამომში გამორჩეული პიროვნების

ბექან ხურციძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული პიროვნების

ბექან ვლადიმერის ძე ხურციძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი

ბრწყინვალე ქართველი და დიდი მშენებელი

ივანე (ვანო) ბექუაშვილის ხსოვნას

საქართველოს ბევრი მშენებელი ჰყოლია. იგი ხომ კლასიკური მშენებლობის ქვეყანაა. აღმაშენებლის სამშობლოში, შეიძლება ითქვას, ყველა მშენებელია. თუმცა ისეთი ვაჟკაცი და მშენებელი, როგორც ბატონი ვანო ბექუაშვილი იყო, დღეს, ალბათ, სანატრელია. იგი მთელი თავისი საქმიანობით და შემოქმედებით, არა მარტო პატივს სცემდა და ინახავდა ქართული ხელოვნების სულს, არამედ ეფერებოდა, აღამაზებდა, ამდიდრებდა და ეთავყვანებოდა კიდევ. ის იყო კაცი, რომელსაც უზომოდ უყვარდა თავისი ქვეყანა - საქართველო, მშობლიური კახეთი, თელავი და თელაველები... იცხოვრა ისე ლამაზად და კოხტად, რომ მისი სახელის გახსენებაც კი უდიდესი სიხარულის მომგვრელია... ჩვენი თაობა ბედნიერია, რომ ჰყავდა ასეთი დიდი მშენებელი, რაინდული სულის პატრონი, კაი ყმა, დიდბუნებოვანი და ქველმოქმედი კაცი, რომელსაც თამამად შეეძლო ხმამაღლა ეთქვა: „მე ვარ ქართველი და თავზე მეტად მიყვარს მამული“. ბატონი ვანო ბექუაშვილი იყო კახეთის სამშენებლო ტრესტის მმართველი, სამაგალითო ორგანიზატორი და ლიდერი, სულითა და გულს მშენებელი, შესანიშნავი და იდეალური პიროვნება, რომელმაც კარგად იცოდა დიდი მეგობრებისა და სიყვარულის ფასი. მისი გული მუდამ სიკეთეს ემსახურებოდა. იგი ყოველთვის მზად იყო, ყველასთვის მხოლოდ კარგი საქმე ეკეთებინა. სა-



მაგიეროდ კი არაფერს ითხოვდა. იგი, რჩეულთა შორის რჩეული, სულ სხვა ყაიღის ადამიანი იყო. მისთვის ადამიანობა ყველაზე დიდ თანამდებობას წარმოადგენდა. ადამიანური თვისებებით და გრძნობებით თავად იყო შეუდარებელი და პირთამდე სავსე... პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბატონი ვანო ბექუაშვილი იმ ქართველ მშენებელთა ბრწყინვალე კოჰორტას ეკუთვნოდა, ვისაც მაღლიერი ერი ვერასდროს ვერ დაივიწყებს. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: მას „...ბევრი მაგარი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი ანწყობა დამყარებული მერმისის ამოსაგებად“. ამიტომაც ბატონი ვანო ბექუაშვილი უკვდავია. სამარადეო დიდება მის ნათელ სახელს. ახლა კი ჩემი წერილი მისდამი დიდი პატივისცემის ნიშნად, მიწაზე დავემთავრო:

მაგონებს თელავი ო, ლამაზ თელავივს, შენ კიდევ, ვანიჩო, სამშობლოს ყველა გმირს... ბედნიერი ხარ ან და მარადის, შენს საქმეს დგითურს, შენს სულსა და გულს, ნათელს და მზიურს, ჰო, დამარცხება და დავიწყება არ უწერია... შენი სახელი, უკვდავია, შენი მემკვიდრე თელავია...

გულთაზ ლაბარტყავა, თბილისის ყოფილი მშენებლობის ბანკის მმართველი, მრეწველობის მინისტრის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

რეკლამა გაჩაგლის ქ. №7. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87

დედაიძის ზურგზე



პირველი სერიოზული გამარჯვება ისლამურ სახელმწიფოში ირაქში: მთავრობის ჯარებმა რამადი გაათავისუფლეს

რამდენიმე კვირის განმავლობაში ერაყის სამხედროები გარს ერტყმოდნენ რამადის, რის შემდეგაც დაიწყეს შეტევა. გასულ კვირას მათ გააკეთეს უკანასკნელი შეტევა და ხელში ჩაიგდეს ადმინისტრაციის ცენტრალური კომპლექსი. ამის შემდეგ ერაყის ხელისუფლებამ აპირებს, დაიწყო სრულმასშტაბიანი შეტევა ქალაქ მოსულზე.

ჩინელმა ჩინოვნიკმა ზვავის ჩამოშლის შემდეგ შეჩვენა თავი მობილზე

საგანგებო შემთხვევის შედეგად სულ ცოტა 7 კაცი დაიღუპა, კიდევ 75 უზღოროვნებოდ დაკარგულად ითვლება. გამოძიებამ დაადგინა, რომ ინციდენტი განხორციელდა ტერორისტული და არა ბუნებრივი კატასტროფის შედეგად.

თვითმკვლელობა ძაბულში აბრუპორტის მასლოვლად თავი აიფეთქა, არის მსხვირალი



სულ ცოტა 1 კაცი დაიღუპა, იტყობინებიან ავღანელი ჩინოვნიკები. აფეთქებამ გააგრძელა თალიბების თავდასხმების სერია, რომლებიც გააქტიურდნენ ავღანეთისა და პაკისტანის ხელისუფლებებს შორის მოლაპარაკებათა ფონზე.

სტიქიის მსხვირალთა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში 43 კაცამდე გაიზარდა

ბუნებრივი სტიქიის ბოლოკრობას კვლავ ეწირება ადამიანების სიცოცხლე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ. დამანგრეველი ტორნადო უსვ წვიმებთან ერთად განხორციელდა სულ ცოტა 43 კაცის დაღუპვის მიზეზი უკანასკნელი 4 დღის განმავლობაში.



აზუსტად უნდა საზღვარი საზღვარი ხელში ჩაიგდეს ტერორისტული აზ-ში-შანი, რომელიც იმპერატორმა, გადახდა საზღვარი რუსეთისათვის საპარტიზანო კონფლიქტის გამო

ამერიკელმა სამხედროებმა შეძლეს, ცოცხლად აეგვანათ აზ-ში-შანი ოპერაციის დროს ერაყში. ბოვიკი, რომელიც ცნობილია როგორც თარხან ბათირაშვილი, რამდენიმე წლის წინათ იმუქრებოდა, „დაესაჯა რუსები“ საქართველოსთან კონფლიქტის გამო 2008 წელს.

მსვრის-გამოკითხვა

მთავარი, პიუნს პიუნობაში არ აყვით

დაგვიძი, 2016 წელი, საქართველოს მოსახლეობისთვის უნინარესად იმითა უადრესად მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, რომელზეც ხალხმა უნდა უპასუროს საქრალურ კითხვას: კმაყოფილია თუ არა იგი განვლილი ოთხი წლით? რამდენად მართებულია მთავრობის შიდა პოლიტიკა თუ საგარეო კურსი? გამართლდა თუ არა მოქალაქეთა მოლოდინი და რისი იმედი აქვთ მომავალში? — აი, ის რამდენიმე საკითხი, რომლებზე პასუხების მისაღებად ახალი წლის წინა დღეებში, ტრადიციისამებრ, თბილისელებს გავესაუბრეთ.

ვლადიმერ სულაბა-რიძე, 46 წლის, ინჟინერი:

— თავდაპირველად, ახალი წლის დადგომა თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებს მინდა მივულოცო, ჯანმრთელობა და ქვეყნად სიმშვიდე გისურვოთ! როგორც ვიცი, აღმოსავლური ჰოროსკოპით მომავალი წელი ცეცხლოვანი მაიმუნისა იქნება, ჰოდა, მეც ჩემს სამშობლოს და ხალხს მინდა ვუსურვო ახლა მაინც იმაზე ნაკლები „მაიმუნობა“ გვენახოს, რის მოწმეც ამდენი წლის მანძილზე უკლებლივ ყველა ხელისუფლებამ გაგვხადა.



სამბო მონაძე, ვეტერინარი, დროებით უმუშევარი, 58 წლის:

— ტელევიზიები სულ გადმოსცემენ, ახალი საწარმო გაიხსნა, ამდენი კაცი დასაქმდა, კარგი ხელფასები აქვთო, მაგრამ, ვერ გამოიგია, მაინც ვინ მუშაობს ამ ახალ ობიექტებზე? ყველაზე კარგი ვარიანტი, რაც ვნახე, ისიც ყოველთვის არ არის, მშენებლობაზე შავ მუშად, მე კი დიდ ხანს ძნელსა-მუშაოს ვეღარ ვუძლებ. სოფელში ჩემი სამუშაო აღარ არის და ჯერ არც პენსია მაქვს, ჰოდა, შვილი რომ არ გვიხახავდეს მე და ჩემ ცოლს, არ ვიცი, რა გვეშველებოდა.

ბუბინა რუმბაძე, ხილით მოვაჭრე, 69 წლის:

— ძნელია, ბატონო, ჩვენი ცხოვრება, სახლ-კარი აფხაზეთში დაგვრჩა, ლტოლვილის ლუკმა კი მწარეა. ჩვენ, აბა, რა შემოსავალი გვაქვს, თავი ყიდვა-გაყიდვით ვაგვაქვს, ამით ვმოულოდოთ ლუკმა-პურს. მადლობა ღმერთს, შვილებიც მუშაობენ, შვილიშვილებიც, ბინაც მთავრობამ მოგვცა, იმედია, მომავალი ამაზე ცუდი არ იქნება, მთავარია, ქვეყანაზე მშვიდობა იყოს, თურქეთმა და რუსეთმა ომი არ დაიწყონ!

მარტინ კვიციანი, ტაქსის მძღოლი, 23 წლის:

— წელს დავოჯახდი, პირველი ბიჭიც შემეძინა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მგონია ქვეყანაზე! კი ჭირს, ბატონო, ცხოვრება, მაგრამ, რას ვიზამთ, დროა ასეთი, არეული. მთავარია, მთავრობამ ხალხს მიხედოს და მის გვერდით დადგეს, მერე, ალბათ, ყველაფერი გამოსწორდება.

ზურაბ სუციშვილი, პენსიონერი, 76 წლის:

— ამ წლის კაცი ვარ, ამდენი უმუშევარი და გაჭირვებული ხალხი არ მახსოვს, არადა ბევრ რამეს ვარ მოსწრებული. პენსია კია ცოტა, მაგრამ, ხომ ხედავთ, ქვეყანაზე რა ხდება, ყველგან გაჭირვება, ხალხი ძალადობაზე გადასული, იმის გამო, რომ საარსებო სახსრები არა აქვს. პენსიის მომატებას გაისადაც გვპირდებიან, თუ ცოცხალი ვიქნები, კიდევ მოვესწრები, ალბათ, ქვეყნის სიკეთეს, თუ არა და ახალგაზრდობამ მაინც იცხოვროს და ლაგებულ, დამშვიდებულ და გამთლიანებულ ქვეყანაში!

დალი ორჯონიძე, დიასახლისი, 46 წლის:

— ოთხი შვილიშვილი მყავს ორი ქალიშვილისგან, ასე რომ მოსახლენად არ მცალია. მართალია, ბავშვების გამო ნაკლებად მაქვს, მაგრამ მოვლენებს თვალყურს მაინც ვადევნებ. გონიერი მთავრობა გვყავს, მაგრამ უფრო მეტი დაფიქრებაც არ აწყენდა, მთავარია, მავანთა ინტრიგებს არ აყვნენ და ყველაფერი რიგზე იქნება.

ლონდ ქვეყნად მშვიდობა იყოს, სულ ამას ვლოცულობ! ყველას ბედნიერ ახალ წელს და ჯანმრთელობას გისურვებთ!

თამარ წილოსანი, ფსიქოლოგი, 45 წლის:

— ცხოვრების რიტმი თითქმის ყოველწლიურად ძლიერდება, ადამიანები მეტ აგრესიას ავლენენ, ამიტომ ყველას ნერვების მოთოკვის ნებისყოფის ქონა მინდა ვუსურვო და გარშემო მყოფებისადმი მეტი გულისყურით მიდგომა ვთხოვო.

ლამზირა ბაბაიანი, გარემოვაჭრე, 31 წლის:

— ჭირს ცხოვრება, მაგრამ რას ვიზამთ? ჯანმრთელები რომ ვართ, ეგეც მადლობა ღმერთს, მაგრამ კარგი იქნება, თუ მთავრობა ხალხზე მეტს იფიქრებს.

ოთარ კანდელიანი, ეკონომისტი, 67 წლის:

— ძალიან ძნელ პერიოდში უწევს მოღვაწეობა ახლანდელ ხელისუფლებას, უამრავი გარე და შიდა გამონევის წინაშე დგას ქვეყანა. ამიტომაც გაათმაგებული დაფიქრება და ყურადღება მართებს დღევანდელ მთავრობას როგორც საგარეო კურსის გატარებისას, ასევე შიდა პოლიტიკის წარმართვისას, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში. გეზი, პრინციპში, ჩემი აზრით, სწორია, თუმცა კი გარკვეული კორექტივებიცაა საჭირო. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ საქმის კეთების დიდი სურვილი ჩანს, ეს კი, დარწმუნებული ვარ, წარმატების მიღწევის უპირველესი საწინდარია

ესაუბრა დალი სუნდაძე

26 დეკემბერს გამოქვეყნებული სანაწარმის პასუხები

- 1. კომპლიმენტი. 2. შიფონი. 3. შტურმანი. 4. ომერტა. 5. ნებეირა. 6. უნტები. 7. რაფინადი. 8. ავდარი. 9. მალენა. 10. მისტერ. 11. პარა. 12. გრაცია. 13. დრამინა. 14. მეგრელი. 15. ნორმა. 16. შანტაჟი. 17. ჟაბო. 18. ბანერი. 19. შანა. 20. დოსტი. 21. ბაჟე. 22. სანტაფე. 23. არილი. 24. ბაგამი. 25. პლატო. 26. დომბა. 27. ბირჟა. 28. ბომჟი. 29. სუფრა. 30. ბოისა. 31. ფოლიანტი.

ცინცხალი ანკდოტები

— ძვირფასო, დაქორწინებამდე მუდამ ტაქსით მიშვებდი ხოლმე სახლში, ახლა კი ამბობ, რომ მეტროშიც შემიძლია სიარული. ასე უცებ რა შეიცვალა? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— არაფერიც არ შეცვლილა. უბრალოდ, შენით ძალიან ვამაგობ. ადრე მართლ ტაქსისტი გხედავდა, მეტროში კი ათასობით კაცი დადის.

— მე შენ მიყვარხარ! — ეუბნება პატარა ბიჭი თანატოლ გოგოს. — ისევე გიყვარვარ, როგორც დიდებს უფრო ვართ ერთმანეთი? — არა, ნამდვილად მიყვარხარ.

მისი მეზობლის ბაღში ვაშლს იპარავს. პატრონმა იგი შეამჩნია.

— ოჰ, შე ხულიგანო! უფვირის ის მიხოს, — მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ქურდობა.

— მადლობელი ვიქნები, ნიკა პაპა, თორემ უკვე მეორედ დამიჭირეს.



კაღრი



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკის მარაბლის ძ. №7

გამომცემლობა: შპს „მანაღრომბა-1“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რეკინგის ჩიხი №20

ua(უა)070.4(479.22) 5-323 ISSN 2233-3851 9 772233 385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ მოზუღია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე